საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 14 ივნისი. 2017 წ. №118 (8255), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

დავით-გარეჯა საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ეკლესიის განუყოფელი ნაწილია

6 საზღვრებმორღვეული სიმართლე 7

„ზაზა არის სიმბოლო, როგორი უნდა იყოს სპორტსმენი“

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ზაზა ფაჩულიას NBA-ს ჩემპიონობას ულოცავს:

„NBA-ს ქართველი ჩემპიონი ჰყავს! ჩვენი ქვეყანა კიდევ ერთხელ ასახელა ზაზა ფაჩულიამ, რომელმაც ღირსეული და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა თავის გუნდთან ერთად!

ზაზა ყოველთვის იყო და არის ბრძოლის, თავდადებისა და თავისი ქვეყნისადმი სიყვარულის სიმბოლო, ამიტომ, მისი გამარჯვება მთელი ქართველი ერის, მისი თითოეული გულშემატკივრის გამარჯვებაა. ის არის პროფესიონალი, რომელმაც მრავალმილიონიან კონტრაქტზე თქვა უარი და ჩემპიონობისთვის ბრძოლა თავის ახალ გუნდთან ერთად გააგრძელა.

ზაზა არის სიმბოლო, როგორი უნდა იყოს სპორტსმენი, რომლისთვისაც სპორტი და გულშემატკივრის სიყვარული არის მთავარი! თავისი კარიერით და საქმიანობით ის შთააგონებს და სტიმულს აძლევს მომავალ თაობებს, ახალგაზრდა სპორტსმენებს, რომ შეუძლებელი არაფერია და მათაც, ერთ დღეს, შესაძლოა, ოცნების გუნდის მაისურში გამოწყობილებს, ჩემპიონის მედალი გადაეცეთ“, — ნათქვამია ირაკლი კობახიძის მილოცვაში.

აშშ-ის საელჩო გულშემატკივრებს ზაზა ფაჩულიას ჩემპიონობას ულოცავს

საქართველოში აშშ-ის საელჩო ზაზა ფაჩულიას ჩემპიონობას ქართველ გულშემატკივარს ულოცავს:

„ზაზა ფაჩულია ჩემპიონია!

ზაზას გუნდმა, „გოლდენ სტეიტ უორიორზმა“ კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ჩემპიონატი მოიგო. გილოცავთ!“ — ნათქვამია აშშ-ის საელჩოს მილოცვაში.

გიგა ბათიაშვილი:

პირდაპირ მივმართავ ბატონ დავით ნარმანიას: მერიის ფრთის ქვეშ მოქცეული არქიტექტურის სამსახური ერთიანადაა დასაშლელი, იმიტომ, რომ სტრუქტურულად არასწორადაა შექმნილი

5

„ანტი-აზერბაიჯანული იატაკქვეშეთი თბილისში: პაროლები, ფული, ინსტრუქციები...“

2

რაგბი ჩვენი თამაშია!

საქართველოს ახალგაზრდა მორაგბეთა ნაკრები მომავალ მსოფლიო ჩემპიონატშიც ელიტაში ითამაშებს.

როგორც მოგეხსენებათ, უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ფორუმის სტარტზე არგენტინელ „პუმებთან“ გამართული მძაფრი ბრძოლა 26:37 დათმეს, რასაც კიდევ ორი მარცხი მიაყოლეს და ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს.

საბედნიეროდ, ილია მაისურაძის შეგირდები დროულად მოეგნენ გონს, გუშინ ვაკის „მიხეილ მესხის“ სტადიონზე სამხრეთამერიკელებთან IX-XII ადგილებისთვის ჩატარებულ პლეი-ოფში რევანში აიღეს — 26:25 და პროგრამა — მინიმუმი წარმატებით შეასრულეს.

რა მდგომარეობაშია სეტყვით დაზარალებული სოფლები?

7

პრეზიდენტის შეხვედრა „აკორდას“ სასახლეში

საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის დახვედრის ოფიციალური ცერემონია ასტანაში, ყაზახეთის პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა.

საქართველოს პრეზიდენტს ნურსულთან ნაზარბაევმა „აკორდას“ სასახლეში უმასპინძლა. პრეზიდენტებმა ერთმანეთს ოფიციალური დელეგაციები წარუდგინეს და სახელმწიფო ჰიმნების შესრულების შემდეგ ყაზახეთის სახელმწიფო დროშას მიაგეს პატივი. დახვედრის ოფიციალური ცერემონიის შემდეგ საქართველოსა და ყაზახეთის პრეზიდენტებმა პირისპირ შეხვედრა გამართეს. ნურსულთან ნაზარბაევმა კმაყოფილება გამოთქვა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი მნიშვნელოვან თარიღს, საქართველო-ყაზახეთის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის 25 წლისთავს დაემთხვა.

გიორგი მარგველაშვილმა მადლობა გადაუხადა ყაზახეთის პრეზიდენტს მოწვევისათვის და განსაკუთრებულად აღნიშნა ყაზახეთისა და ასტანას ეკონომიკური განვითარების საინტერესო და შთამბეჭდავი ტემპები. მხარეებმა ქვეყნებს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარების საკითხებზე ისაუბრეს. საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ნურსულთან ნაზარბაევს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, ასევე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერისათვის და აღნიშნა, რომ ქართველი ხალხი ხედავს და აფასებს ყაზახეთის ამ მხარდაჭერას. მხარეებმა განიხილეს რეგიონში მიმდინარე მოვლენები, მშვიდობისა და უსაფრთხოების პრობლემატიკა. აღინიშნა, რომ საქართველო ის სახელმწიფოა, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფაში.

ორივე ქვეყნის ლიდერმა კიდევ ერთხელ გამოხატა საკუთარი პატივისცემა საერთაშორისო სამართლისა და გაეროს ფუძემდებლური პრინციპებისადმი და დაადასტურეს თავიანთი ერთგულება საზღვრების ურღვევობის, დავების მშვიდობიანი მოგვარების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი. როგორც გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, საქართველო აქტიურად ავითარებს ყაზახეთთან პოლიტიკურ ურთიერთობებს და ამის საფუძველს სწორედ საქართველო-ყაზახეთის წარმატებული დიპლომატიური ურთიერთობები ქმნის, რომელსაც 25 წელი შეუსრულდა.

კახიშვილი ვაშინგტონში შეხვედრებს მართავს

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი კახა კახიშვილი, აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში, ვაშინგტონში, ამერიკის შეერთებული შტატების ნარკოტიკებთან ბრძოლისა და კანონის აღსრულების საერთაშორისო ბიუროს INL მდივნის თანაშემწის მოადგილე ჯეიმს ვოლშს შეხვდა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა კახა კახიშვილმა შეხვედრაზე საქართველოსა და აშშ-ის სტრატეგიულ თანამშრომლობას გაუსვა ხაზი. მინისტრმა ბიუროს წარმომადგენლებს სასჯელაღსრულების სისტემის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში არაერთი მნიშვნელოვანი სიახლე დაინერგა. შეხვედრის მთავარ საკითხს საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმები წარმოადგენდა. კახა კახიშვილმა ჯეიმს ვოლშს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც 2012 წლიდან მიმდინარეობს. კახა კახიშვილის განცხადებით, სასჯელაღსრულების სისტემისთვის უმნიშვნელოვანესია, მართვის თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებზე დაყრდნობით, პენიტენციურ დაწესებულებებში უსაფრთხოების მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა. ამ მხრივ, აღსანიშნავია INL-ის მხარდაჭერა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან შეხვედრა დადებითად შეფასდა. საქართველოს პენიტენციური სისტემის განვითარების მიზნით, ამერიკულ მხარესთან მჭიდრო თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

ამასთან, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა კახა კახიშვილმა, დელეგაციასთან ერთად, მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, რომლის ფარგლებში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპისა და ევრაზიის საკითხთა ბიუროს კავკასიისა და რეგიონალური კონფლიქტების სამსახურის ხელმძღვანელს ნატაშა ფრანჩეზას შეხვდა.

ყაზახეთისადმი საქართველოს ვალი შემცირდა

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ხელი მოაწერა ყაზახეთის მიმართ საქართველოს ვალის განმეორებითი რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც საქართველოს ვალის ოდენობა ყაზახეთისადმი 27.77 მლნ აშშ დოლარიდან 25,48 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა. მნიშვნელოვანია, რომ ყაზახეთის ვალის დაფარვა პარიზის კლუბის კრედიტორებთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე განხორციელდება და ვალის მომსახურება გაგრძელდება 2025 წლამდე. მოლაპარაკება ყაზახეთთან ვალის რესტრუქტურიზაციაზე 2001 წლიდან მიმდინარეობდა და წარმატებით 2016 წელს დასრულდა, რომლის საფუძველზეც ყაზახეთი დათანხმდა, რომ ვალის მომსახურება საქართველოსთვის ხელსაყრელი პირობებით მომხდარიყო.

გარდა ამისა, პირველი ვიცე-პრემიერი დიმიტრი ქუმსიშვილი ყაზახეთის ფინანსთა მინისტრს ბახიტ სულტანოვს შეხვდა, რომლის დროსაც მხარეებმა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობები განიხილეს. მათ შორის, ორმხრივი ვაჭრობის, ტურიზმის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სხვა სექტორებში. აღინიშნა, რომ ინტენსიური ეკონომიკური კავშირების მიუხედავად, ქვეყნებს შორის არსებობს თანამშრომლობის გაღრმავების დიდი პოტენციალი.

პირველი ვიცე-პრემიერი დიმიტრი ქუმსიშვილი ყახაზეთში საქართველოს სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფება, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ხელმძღვანელობს.

„ანტიაზერბაიჯანული იატაკქვეშეთი თბილისში: პროლეგი, ფული, ინსტრუქციები...“

აზერბაიჯანულ გამოცემა „Haqqin.az“-ის მიერ გამოქვეყნებული სტატიის ქართულენოვანი ვერსია, რომლის ავტორიც გამოცემის მთავარი რედაქტორი ეინულა ფატულაევია, მიმდინარე წლის 5 მაისს, საინფორმაციო-შემეცნებით პორტალ NSP.GE-მ გამოაქვეყნა.

შეიძლება ითქვას, რომ სტატია ერთგვარ გაფრთხილებასაც წარმოადგენდა იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანი განიხილავს ვერსიას საქართველოში ანტიაზერბაიჯანული იატაკქვეშეთის მოქმედების შესახებ.

სტატიაში, რომელიც შეიძლება ჟურნალისტური გამოკვლევის ჟანრს მივაკუთვნოთ, ვრცლადაა გადმოცემული ანტიაზერბაიჯანული დაჯგუფების საქმიანობა, რომელიც, გამოცემის აზრით, საქართველოში მოქმედებს და პრეზიდენტ ილჰამ ალიევის ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებას ხლართავს.

საინფორმაციო-შემეცნებითი პორტალი NSP.GE გვთავაზობს ამონარიდებს ვრცელი პუბლიკაციიდან:

„მსოფლიოს ისტორიაში არის იმის პრეცედენტები, თუ როგორ ტრანსფორმირდებიან ხოლმე პატარა სახელმწიფოები ისეთ სუბიექტებად, რომლებიც გავლენას ახდენენ გლობალურ გეოპოლიტიკურ პროცესებზე. მაგალითად, კუბა და კუბელი რევოლუციონერების საქმიანობა, რომლებიც ლათინური ამერიკისა და აფრიკის ბევრ ქვეყანაში რევოლუციებს გეგმავდნენ“, — წერს ავტორი და ერთ-ერთ ასეთ „ერნესტო ჩე გევარად“ მიხეილ სააკაშვილს მიიჩნევს, რომელიც, კუბელი წითელი კომანდანტეს მსგავსად, საქართველოს გარდა სხვა ქვეყნებშიც ცდილობდა რევოლუციების განხორციელებას. „საქართველო დსთ-ის სივრცეში ფერადი რევოლუციების ლოკომოტივად, დასავლური ჰეგემონიზმისა და მოდერნიზების პლაცდარმად იქცა, რომლის მიზანს რუსეთის ირგვლივ ფერადი სარტყლის ჩამოყალიბება წარმოადგენდა. მაგრამ რუსეთთან ერთად, საფრთხე უშუალოდ აზერბაიჯანსაც დაემუქრა; მიხეილ სააკაშვილი და მისი „კმარელი“ თანამოაზრენი, აზერბაიჯანშიც ცდილობდნენ დესტაბილიზების გამოწვევას, მაგრამ ილჰამ ალიევის პოლიტიკური ოსტატობის წყალობით ქართული რევოლუციური ხელისუფლების გეგმები ჩაიფუშა, განეიტრალდა. საბოლოოდ, თვით ქართველმა საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ აზერბაიჯანის გარეშე საქართველო ვერ იარსებებდა, ანუ ბაქოსთან დაპირისპირება თბილისურ კომინტერნს კარგს არაფერს უქადდა. იმ შემთხვევაში, თუ აზერბაიჯანის მიმართ საქართველო ხრიკებს გააგრძელებდა, თბილისი ხელს შეუწყობდა რეგიონულ გეოეკონომიკური პროექტების კრახს, კავკასიური პოლიტიკის პატრიარქების — ედუარდ შევარდნაძისა და ჰეიდარ ალიევის მიერ შემუშავებულს. გარდა ამისა, საქართველოს „ვარდისფერი“ ხელისუფლება აცნობიერებდა ქვემო ქართლში პრობლემის წარმოქმნის შესაძლებლობასაც, სადაც 300 ათასამდე აზერბაიჯანელი ცხოვრობს და რომლებიც, ჯავახეთის სომხებისაგან განსხვავებით, ერთიანი და განუყოფელი საქართველოს იდეის ერთგული იყვნენ.

პრეზიდენტები მოდიან და მიდიან, იატაკქვეშეთი კი რჩება

მართალია, იმ პერიოდში საქართველოს „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ, რომელიც, შეიძლება ითქვას, ქარაგმულად აჩვენებდა, რომ აზერბაიჯანის მთავრობასთან ფასეულობრივ კონფრონტაციაში იყო, ბაქოსთან ღია კონფლიქტზე წასვლა ვერ გაბედა, თუმცა საქართველოს ტერიტორია აზერბაიჯანის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ-იდეოლოგიური ექსპანსიის პლაცდარმად გადააქცია. სამწუხაროდ, თბილისის პოლიტიკა არ შეცვლილა ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგაც: „მეოცნებეთა“ მმართველობის დროს აზერბაიჯანული ფერადი იატაკქვეშეთი თბილისში თავს მშვენივრად გრძნობს.

გავიხსენოთ, რომ 2013 წელს, აზერბაიჯანში არჩევნების წინ, რადიკალური ოპოზიციის ცენტრმა სწორედ თბილისში გადაინაცვლა. ანტისამთავრობო კოალიციამ ცნობილი მწერლისა და კინორეჟისორის რუსტამ იბრაჰიმბეკოვის ხელმძღვანელობით (ელდარ ნამაზოვთან და ალი ქერიმლთან ერთად) ანტიაზერბაიჯანული გეგმების განხორციელება სწორედ საქართველოს დედაქალაქში დაიწყო: ჩამოყალიბდა ნაციონალური საბჭო, რომელმაც აზერბაიჯანში ფერადი რევოლუციის მოხდენის საოცნებო მიზანი გამოაცხადა.

მოგვიანებით საქართველოს ახლადგამომცხვარი ხელისუფლება ბრალის გამოსწორებას შეეცადა — აშკარად ჩანდა თბილისის ჩარევა მოძმე მეზობლის საქმეებში და ურთიერთობაში წარმოქმნილი კოლიზია „გარდამავალი პერიოდის“ სირთულეებით ახსნა: რა გვექნა, დროულად ვერ მოვასწარით ქართული ისტებლიშმენტის გაწმენდა „სოროსელი ბაციცლებისგანო“. ეს ოთხი წლის წინათ იყო, იმ დროს აზერბაიჯანის ხელისუფლება გაგებით და თანაგრძნობით მოეკიდა მეზობლის „გარდამავალი პერიოდის სირ-

ტრაგედიიდან 2 წელი გავიდა

2015 წლის 13 ივნისს მდინარე ვერეს ადიდების შედეგად, 200-ზე მეტი ოჯახი და 1000-მდე ადამიანი დაზარალდა, გარდაიცვალა 21 და უგზო-უკვლოდ დაიკარგა 2 ადამიანი.

სტიქიური უბედურება 13 ივნისს, გვიან ღამით დაიწყო. მთლიანად დაიტბორა სვანიძის ქუჩა, სანახევროდ დაინგრა ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი ესტაკადა, წყალმა დაფარა გმირთა მოედანი და „მზიურის“ პარკი. წყალდიდობის შედეგად თითქმის მთლიანად განადგურდა თბილისის ზოოპარკი. ცხოველების დიდი ნაწილი წყალდიდობას ემსხვერპლა, გარკვეულმა ნაწილმა კი ვოლიერებს თავი დააღწია და ქალაქში გაიქცა.



მდინარე ვერეს ადიდება ბეთანიის გზაზე წარმოქმნილმა მძლავრმა მეწყერმა გამოიწვია.

კალაპოტიდან გადმოვიდა მდინარე მტკვარიც, მარჯვენა სანაპიროზე ჩარჩენილი ხალხის ევაკუაცია ექსტრემალურ პირობებში მოხდა. სტიქიის შედეგად მიყენებულმა მატერიალურმა ზარალმა დაახლოებით 50 მილიონი ლარი შეადგინა.

დაზარალებული 5 ოჯახი კომპენსაციას სასამართლოს გზით მიიღებს

ამის შესახებ დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა. მისივე თქმით, ეს ოჯახები შეთავაზებულ კომპენსაციაზე უარს ამბობენ.

„ნ ოჯახი, რომელიც არ დაგვთანხმდა, ითხოვს გაცილებით მეტს, ვიდრე ჩვენ შევთავაზეთ. ამიტომ ასაჩივრებს და როგორც კი იქნება საბოლოო ვერდიქტი, იმის მიხედვით მიიღებენ ისინი შესაბამის თანხას“, — განაცხადა მერმა.

13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულმა 5 ოჯახმა ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-მუხლის“ წარმომადგენლებთან ერთად გუშინ პრესკონფერენცია გამართა. იურისტების განცხადებით, ეს ოჯახები სარეკრეაციო ზონაში ცხოვრობდნენ და სწორედ ამ გარემოების გამო ეთქვათ უარი ანაზღაურებაზე. კომპენსაციის შეთავაზებისას კი მერიამ სულადობა არ გაითვალისწინა, როცა სხვა ოჯახებს თანხა სულადობისა და ფართობის მიხედვით გადაეცათ. ოჯახებმა სარჩელი საქალაქო სასამართლოში მოიგეს, თუმცა მერიამ და ქონების მართვის სააგენტომ გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

5 ოჯახს ბინის ქირით ამ დრომდე უზრუნველყოფს თბილისის მერია.

პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას

თბილისის მერი დავით ნარმანია 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნის მემორიალთან იმყოფებოდა, სადაც მოადგილეებთან, მთავრობის წევრებთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან და დეპუტატებთან ერთად პანაშვიდს დაესწრო და მემორიალი გვირგვინით შეამკო.

„2 წელი გავიდა 13-14 ივნისის სტიქიიდან. ჩვენ გავიხსენეთ ის ადამიანები, რომლებიც შეეწირნენ ამ დღეებს და გვერდში ვუდგავართ მათ ოჯახებს, ვანუგეშებთ. ადამიანების სიცოცხლე არის ყველაზე დიდი დანაკარგი, რომელიც ამ სტიქიის შედეგად მივიღეთ. სხვა

დანარჩენი ყველაფერი აღდგა, ყველაფერი მოწესრიგდა. სწორედ ამიტომ, ჩვენ უნდა გვახსოვდეს ეს ადამიანები და ყოველთვის უნდა მოვიდეთ 13 ივნისს აქ, ამ ადგილას, მოვეფეროთ მათ ოჯახებს და ვანუგეშოთ,“ — განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილზე მდებარე დაღუპულთა ხსოვნის მემორიალთან.

სტიქიური უბედურებების თავიდან ასაცილებლად

გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსმა თამარ ბაგრატიამ მედიის წარმომადგენლებს 2015 წლის 13-14 ივნისს თბილისში განვითარებული სტიქიური პროცესების შესახებ ანგარიში წარუდგინა.

შეხვედრაზე სააგენტოს უფროსმა სპეციალისტების მიერ ორი წლის განმავლობაში შემუშავებული კვლევების შედეგები და რეკომენდაციების შესახებ ისაუბრა.

სპეციალისტების მიერ მდ. ვერეს ხეობაში ჩატარებული კვლევების საფუძველზე სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი არეალი დადგინდა, ანგარიში შემდგომი რეაგირებისათვის და სათანადო დამცავი ღონისძიებების გატარების მიზნით შესაბამის უწყებებს წარედგინა.

სააგენტოს სპეციალისტების მიერ ასევე მდ.ვერეს აუზში მდინარის დონის მზომი და ნალექმზომი მოწყობილობები დამონტაჟდა, რომლის მონაცემები სააგენტოს ონლაინ რეჟიმში მიეწოდება.

სადგურები საშუალებას იძლევა უხვი ნალექის მოსვლის შემთხვევაში ბუნებრივი მოვლენების პროგნოზირებას, რათა მოხდეს შესაბამისი უწყებების ინფორმირება მოახდინოს. გარემოს ეროვნული სააგენტო სტიქიური პროცესების მონიტორინგისა და პროგნოზირების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით მუშაობას მომავალშიც გააგრძელებს.

სტატია, რომელიც აფგან მუხთარლის დაკავებამდე ორიოდე კვირით ადრე „HAQQIN.AZ“-მა გამოაქვეყნა და რომელიც ერთგვარ გაფრთხილებას წარმოადგენდა

თულეებს“, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას არც შემდეგ არ გადაუდგამს პრაქტიკული ნაბიჯები ქვეყნის ტერიტორიიდან ანტიაზერბაიჯანული „წინააღმდეგობის მოძრაობის“ გასაძევებლად. დღეს თბილისი კვლავ რჩება აზერბაიჯანული ოპოზიციის ცენტრად, სადაც მზაკვრული გეგმები მზადდება, იხლართება ახალი შეთქმულება, თავისი პაროლებით, ინსტრუქტაჟითა და ფულით.

განა საქართველოს ხელისუფლების და სამართალდამცველი ორგანოებისათვის უცნობია აზერბაიჯანელი ოპოზიციონერების საქმიანობა? ან მათი შეხვედრები დასავლელ ემისრებთან და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც დასავლელი სპეცსამსახურების კონტროლქვეშ იმყოფებიან?“, — წერს ავტორი და აქვეყნებს ანტიაზერბაიჯანული შეთქმულების წევრების გვარ-სახელებს, ფოტოსურათებს.

პუბლიკაციაში ჩამოთვლილია 30-მდე აზერბაიჯანელი ოპოზიციონერი, მოცემულია მათი დახასიათება, კავშირები, კონტაქტები, გადაადგილების მარშრუტები, მათ შორის არიან პოლიტიკოსები, ყოფილი პროკურორები, ჟურნალისტები... „თბილისში აზერბაიჯანული კონტრა მომრავლდა. მადლობა ალაჰს, რომ აზერბაიჯანმა, საქართველოსაგან განსხვავებით, მოახერხა და თავიდან აიცილა სისხლიანი დაპირისპირება. უიღბლო რევოლუციონერები ქვეყნიდან გაიქცნენ და თავშესაფარი საქართველოში პოვეს, კერძოდ კი თბილისში — კონტრასტების, კონტრისა და რევოლუციონერების ქალაქში“.

აი, ასეთი სურათია ჩამოყალიბებული იმ სახელმწიფოში, რომელიც თავს აზერბაიჯანის ძმად და მეგობრად მიიჩნევს. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები მხოლოდ მიზერული რაოდენობაა იმისა, რასაც თბილისში აზერბაიჯანული ოპოზიციის იატაკქვეშეთი აკეთებს. საინტერესოა, რა პასუხს გაგცემს საქართველოს მთავრობა და საგარეო საქმეთა სამინისტრო? განა აზერბაიჯანის მთავრობას ოდესმე მიუცია თავშესაფარი ქართული ოპოზიციისათვის ბაქოში? რატომ იქცევა საქართველოს ხელისუფლება ასე აზერბაიჯანის მიმართ? ამას წინათ, 19 აპრილს, ქართველმა მესაზღვრეებმა ქვეყანაში არ შეუშვეს აზერბაიჯანის მიერ ძებნილად გამოცხადებული ჯამალა ალი, რომელიც ოპოზიციური „მაიდან ტვ“-ს ბერლინის განყოფილების თანამშრომელია. რასაკვირველია, ეს ნაბიჯი ოფიციალურმა ბაქომ დადებითად შეაფასა, მაგრამ მაინც გვინდა, ვკითხოთ მეზობლებს: რატომ არ დააკავეთ და არ გადმოეცით აზერბაიჯანის ხელისუფლებას? ქართულ მხარეს რომ ანალოგიური თხოვნით მოემართა ჩვენთვის, განა ბაქო ასე მოიქცეოდა?

რატომ შეუქმნა საქართველოს ხელისუფლებამ ანტიაზერბაიჯანულ ოპოზიციას სასათბურე პირობები თბილისში? ხომ ცნობილია, რომ ისინი თავიანთ ზრახვებს არ მალავენ, მათ აზერბაიჯანის ხელისუფლების დამხობა სურთ. მაშ, რატომ არ ღებულობს ზომებს ჩვენი მეზობელი? არადა, აზერბაიჯანი დიდ მსხვერპლს სწირავს საქართველოსთვის... არაფერს ვამბობთ ენერგეტიკულ მეგაპროექტებზე... ქართველებს გავახსენებთ, რომ აზერბაიჯანი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ბაქომ მკაცრად დაგმო სამხრეთ ოსეთის რეფერენდუმი და მზადაა ორმხრივი კავშირების გასაღრმავებლად, გამოწვევების მიმართ ერთობლივი წინააღმდეგობის გასაწევად. და რას ვიღებთ ყოველივე ამის სანაცვლოდ? ზურგში დანის დარტყმას? განა აზერბაიჯანმა ზურგში დარტყმა დაიმსახურა? საინტერესოა, რამდენი დრო დაჭირდება საქართველოს მთავრობას მისსავე ტერიტორიაზე თავაშვებულად მოქმედი აზერბაიჯანული იატაკქვეშეთის აღსაკვეთად?

* * *

სტატიის გამოქვეყნების შემდეგ აზერბაიჯანულმა გამოცემამ, ოთხ მაისს, ონლაინ-რეჟიმში გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ პუბლიკაცია ცნობად მიიღო და მასალაში ნახსენებ ფაქტებს შეისწავლის. გუშინვე „Haqqin.az“-მა გამოაქვეყნა ქართველი ექსპერტების კომენტარი. როგორც ვასილ პაპავა ამბობს, აზერბაიჯანელი ოპოზიციონერების შესახებ ქართული ოფიციალური მედია არაფერს აცხადებს.

„საქართველოს ხელისუფლებას ურთიერთობა მხოლოდ აზერბაიჯანის ოფიციალურ ხელისუფლებასთან აქვს და, ბუნებრივია, ეს თანამშრომლობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ არის დასმული. გამოდის, რომ ყველაფერი ჩუმად კეთდება. ძალიან ცუდია, რომ ასეთი ტენდენცია შეიმჩნევა. ჩემი აზრით, აზერბაიჯანელი „ოპოზიციონერები“, თავიანთი რევულუციური პროექტებით, საქართველოდან გაძევებული უნდა იქნენ. საერთოდ კი, უმჯობესი იქნება, რომ აზერბაიჯანმა ამ მიზნით ოფიციალურად მომართოს საქართველოს. ის, რაც სტატიაშია გადმოცემული, თუ ყველაფერი მართალია, მაშინ სრულ „ბარდაკს“ ნიშნავს“, — ამბობს ვასილ პაპავა და ხაზს უსვამს, რომ აზერბაიჯანელებს, ალბათ, დასავლური ძალებიც მფარველობენ, ამიტომ თბილისს ბერკეტები არ ჰყოფნის მათ გასაძევებლად. „საქართველოს ისედაც უამრავი პრობლემა აქვს, დამატებით „აზერბაიჯანული ხუნტა“ არ გვჭირდება“.

სტატიის შესახებ თვალსაზრისი გამოხატა აგრეთვე საქართველოს პარლამენტის წევრმა გია ცაგარეიშვილმაც: მისი თქმით, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას არასოდეს არ გადაუდგამს და არც გადადგამს ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც მიმართული იქნება აზერბაიჯანში პოლიტიკური დესტაბილიზაციის გამოსაწვევად. **„ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არავის არ სურს, რომ აზერბაიჯანს პრობლემები ჰქონდეს. ჩვენი ქვეყნები მსგავს მდგომარეობაში არიან, რომელიც ტერიტორიულ მთლიანობასთანაა დაკავშირებული. აზერბაიჯანი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს საზღვრების ურღვევობას და სუვერენიტეტს. თბილისი მაღალ შეფასებას აძლევს ბაქოს პოზიციას. რაც არ უნდა იფიქრონ ჩვენმა საერთო მტრებმა, აზერბაიჯანისა და საქართველოს მეგობრობა გაგრძელდება“,** — განაცხადა გია ცაგარეიშვილმა „Haqqin.az“-ის თბილისის ბიუროს თანამშრომელთან საუბრის დროს.

ნუთუ ქართველი ხალხი ვერ გარკვეულა ელემენტარულ სიტუაციაში?

ვეხმაურები ვაჟა ჟღენტის სტატიას „აზერბაიჯანელი ჟურნალისტი და ქათმისტვინა ინდივიდები“

ვიდრე ქვეყნის გამყიდველების დამუნათებას შევუდგებოდე, მანამდე მსურს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ დიდი მადლობა გადავუხადო. გასულ წელს, არჩევნების მიმდინარეობის პროცესში ჩემი სტატია – „ქუთათურები, წერეთელი, ბობოხიძე და თევდორაძე პოლიტიკიდან უნდა განიდევნონ“ ამ გაზეთში დაიბეჭდა.

მე, რიგითი ინჟინერი, რომელსაც უბრალო განცხადებაც კი არ დამიბეჭდია გაზეთში, გავოცდი, როცა ჩემს სტატიას, ადამიანები დიდი გულმოდგინებით კითხულობდნენ. კიდევ მეტი გაოცება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ეს სტატია სულ ახლახან განმეორებით დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკაში“.

ალბათ, რედაქციას ჩემი სტატია იმიტომ მოეწონა, რომ მასში ყველაფერი გულწრფელად არის ნათქვამი, გულიდან გამომდინარე. აღშფოთებული ვიყავი, როდესაც ერის გამყიდველები, საკაშვილის მომხრეები – თევდორაძე, ბობოხიძე და წერეთელი კენჭს იყრიდნენ დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად. ეს ხომ ქუთაისელებისთვის, მთელი იმერეთისთვის თავის მოჭრას ნიშნავდა. ავდექი და მეც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გულიდან ამოხეთქილი სტრიქონები დავწერე.

იმასაც არ დავმალავ, რომ „საქართველოს რესპუბლიკის“ მუდმივი მკითხველი ვარ. ეს გაზეთი ერთადერთია საქართველოში, რომელიც ქვეყნის ინტერესების შემცველ სტატიებს ბეჭდავს. სხვა გაზეთივით არ არის მსუბუქი და, როგორც ამგვარ გაზეთებს უწოდებენ, – „ყვითელი“. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, ეს გაზეთი ყველა მოვლენას თვალყურს ადევნებს და ბეჭდავს ისეთ სტატიებს, რაც სამშობლოს და ჭეშმარიტებას მოემსახურება.

ამჟამად რა მაშფოთებს მე და რატომ ვეხმაურები ბატონი ვაჟა ჟღენტის სტატიას? – ნუთუ ქართველი ხალხი ვერ გარკვეულა ელემენტარულ სიტუაციაში – სახელმწიფო უშიშროების და სპეცსამსახურების მუშაობა ყველა სახელმწიფოში – დემოკრატიულსა და არადემოკრატიულში, ხდება საიდუმლოდ და მისი გამომზეურება კანონით ისჯება. დავუშვათ, აზერბაიჯანისა და საქართველოს სპეცსამსახურებმა ერთობლივად ჩაატარეს ჟურნალისტთან დაკავშირებული ოპერაცია, განა ამის გახმაურება შეიძლება? – თუ გახმაურდებოდა, ასეთ შემთხვევაში – ოპოზიცია, არასამთავრობოებიც და, რასაკვირველია, პრეზიდენტიც ერთად უნდა დამდგარიყვნენ და დაეცვათ ხელისუფლების ინტერესი, რაც ამგვარ ვითარებაში იგივე სახელმწიფოს ინტერესების იდენტურია.



პირიქით კი მოხდა – სიხარულისგან აღტყინებული ერის ეს გამყიდველები, პრეზიდენტის ჩათვლით, ცას ეწიენ, არიციან როგორ ავნონ ქვეყანას. აშკარაა, დასავლეთი ყოველნაირად ცდილობს, „ოცნება“ ხელისუფლებას ჩამოაშოროს, მაგრამ დღემდე ვერ მოახერხა. ვერც – ბურჭულაძემ, ნათელაშვილმა, სანიკიძემ, უსუფაშვილმა, ალასანიამ და სხვებმა პირობა ვერ შეუსრულეს დასავლეთს. „ოცნებამ“ ყველა ესენი პოლიტიკურ მოუსავლეთში გაისტუმრა. ამჟამად ყოველ წვრილმანს იყენებენ, რათა როგორმე პროტესტის ტალღა ააგორონ. სწორედ აზერბაიჯანელ ჟურნალისტთან დაკავშირებით აჟიოტაჟი საბაბია ახალი ტალღის აგორებისა. თუ ქართველი ხალხის საღი ნაწილი დაუპირისპირდება, ერის გამყიდველ ჭკუათხელებს, მათი გნიასი უმალვე ჩაცხრება. ეს გარეწრები ამბობენ – ქვეყანაში ამგვარი გატაცებები რომ ხდება, შეიძლება ითქვას, ხელისუფლება არ არსებობსო. დამისახელონ ისეთი დემოკრატიული ქვეყანა, სადაც ადამიანთა გატაცება არ მომხდარიყოს. წლების განმავლობაში სად სჩადიოდა წარმოუდგენელ დანაშაულებს ალკაპონე? – აშშ-ში, რატომ ვერ აღკვეთა მისი თარეში აშშ-ის ხელისუფლებამ? – ძნელია ყოველი ადამიანის ქმედების თვალყურის დევნება, რაღაც მაინც გამოგვეპარება და შედეგად ვიღებთ კრიმინოგენურ ფაქტს. ცნობილი რევოლუციონერის, სახელმწიფო მოღვაწის ტროცკის მკვლელობა მექსიკაში დაგეგმა რუსეთმა. ესე იგი უცხო სახელმწიფოს სპეცსამსახურებმა. ანტისახელმწიფოებრივი ისტერიის ამტეხთა მოკლე ჭკუით, ამ დროს მექსიკის მთავრობა მთელი შემადგენლობით უნდა გადამდგარიყო. რაკი მოხდა აზერბაიჯანელი ჟურნალისტის გატაცება, შინაგან საქმეთა სამინისტრო უნდა გადადგესო. რაღა შორს წავიდეთ, აშშ-ში, ევროპის ქვეყნებში ხშირია ტერორი. იციან კიდეც, დაახლოებით როდის უნდა მოხდეს ეს საზარელი დანაშაული, მაგრამ, სამწუხაროდ, ტერორს მაინც აქვს ადგილი. ღმერთმა დაგვიფაროს და ჩვენთან რომ მოხდეს მსგავსი რამ, მაშინ ეს პროვოკატორები ხელისუფლების დახვრეტას მოითხოვენ. აი, სადამდე მიდის სამშობლოს გამყიდველათა საქციელი. სწორედ ევროპის ქვეყნებში, აშშ-ში უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლები გეგმავენ თავიანთი ხელისუფლების გადაყენებას, რაც შეუმჩნეველი რჩება ხსენებული სახელმწიფოების სპეცსამსახურებს, გასაკვირი ამაში არაფერია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველაფრის გამოააშკარავება ძნელია. საერთოდ, ასე ხდება, როდესაც რომელიმე სახელმწიფოს სპეცსამსახურებს არასწორ ქმედებაში ამხელენ, ამ დროს, იმისათვის, რომ ეს საქმე როგორმე „ჩაიფარცხოს“ და სახელმწიფოს ჩირქი არ მოეცხოს, ყველა სფეროს წარმომადგენელი ერთიანდება და რამდენადაც შესაძლებელია, უარყოფენ ცილისწამებას, თუნდაც, ფაქტს.

ქართველი ჟურნალისტები კი ერთიანდებიან აშშ-ის ელჩის ირგვლივ და სურთ სააკაშვილი და მისი მომხრეები დააბრუნონ ხელისუფლებაში. ეს არ მოხდება, ქარაფშუტებო! რასაკვირველია, ჩვენ მომხრეები ვართ აშშ-თან და ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობისა, მაგრამ ეს ურთიერთობა უნდა განახორციელონ ისეთმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც მტკიცედ დაიცავენ საქართველოს ინტერესებს, და არა ისე, როგორც ამას აკეთებდნენ ეგრეთ წოდებული სააკისტები.

ყოვლად დასაგმობი იყო გაბუნიას და გრიგოლიას საქციელი. იმისთვის, რომ მაყურებლის წამიერი ყურადღება მიიპყრონ, თავიანთი თავხედური გამოხდომებით, ერის ინტერესების უგულებელმყოფელ გადაცემებს აწყობენ.

ვუყურებდი „ობიექტივიდან“ გადაცემას, სადაც წამყვანი (რატიშვილი) ყოველნაირად ცდილობდა გაემართლებინა პროვოკატორები და ქვეყნის გამყიდველები და მიწვეული სტუმრის – ბატონი მამუკა არეშიძესგანაც ამას მოითხოვდა. რასაკვირველია, იგი არ დაჰყვა ამ დემაგოგიურ მოთხოვნას და ბევრ რამეში არ დაეთანხმა წამყვანს. მაგრამ ეს იყო სუსტი, შიშგარეული წინააღმდეგობა, მე არეშიძის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, წამყვანს ვამხელდი ქვეყნის გამყიდველთა მიმხრობაში და პროტესტის ნიშნად სტუდიას დავტოვებდი. აი, ასე მკაცრად უნდა მოვექცეთ ყველა უმეცარს, სამშობლოს ფულზე გამყიდველებს, შედეგად მათ პარპაშს ადგილი არ ექნება ღვთის წილ ქართულ მიწაზე.

როსტომ შვანგირაძე

◎ წერილი რედაქციას

ბიუჯეტის ყვლეფა უნდა შეწყვიტონ

პატივცემულო რედაქცია!

უსიამოვნო ფიქრები აღმიძრა ჟურნალისტ ოთარ ხუციშვილის მწვავე კრიტიკულმა წერილმა „პრემირებული ღორმუცელობა“, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკის“ 20 მაისის ნომერში გამოქვეყნდა. ჩვენი პარლამენტარების მაგივრად მე შემრცხვა, როცა გავეცანი აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატის ვიანორ ბებიას აღშფოთებას იმის გამო, რომ დეპუტატყოფილის პენსია სამჯერ აღემატება რიგითი მოქალაქის პენსიას და გამოვიდა ინიციატივით, მომავალში კანონმდებლებმა კეთილი ინებონ და ჩვეულებრივ პენსიას დასჯერდნენ.

ინიციატივას ვინ ჩივის, ჩვენი პარლამენტარების მხრიდან ამ თაოსნობას გამოხმაურებაც კი არ მოჰყოლია. არადა, სახელმწიფო ბიუჯეტს დეპუტატყოფილების შენახვა ცოტა კი არ უჯდება. როგორც წერილშია აღნიშნული, შარშან მათზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 4,6 მლნ ლარზე მეტი გაიხარჯა(!) გაუგებარია, დიდი დამსახურების მქონე პენსიონერი პედაგოგები, ინჟინრები, მეცნიერები, გნებავთ, სხვა სპეციალობის ადამიანები, რითი არიან ნაკლები ყოფილ პარლამენტარებზე, რომ მათზე რამდენჯერმე ნაკლებ პენსიას იღებენ? ხელისუფლებამ ამაზე უნდა იფიქროს, ბიუჯეტის ყვლეფა შეწყვიტოს და სოციალურ უსამართლობას წერტილი დაუსვას.

ნაცბანდელებმა მეწარმეებს კონტრიბუცია უნდა გადაუხადონ

ხელისუფლების მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტი უმოწყალოდ რომ იყვლიფება, ეს, რა თქმა უნდა, „ოცნების“ დამსახურებაა, მაგრამ მისივე დამსახურებაა ისიც, რომ მეწარმეს, ბიზნესმენს დაყაჩაღებისა აღარ ეშინია და ის თავისუფლად სუნთქავს. ყველას გვახსოვს, ნაცბანდელების მმართველობის პერიოდში, ფულის წაგლეჯის მიზნით როგორ აპატიმრებდნენ ადამიანებს, უფორმებდნენ საპროცესო გარიგებებს, ართმევდნენ ქონებას, ბინებს, აგარაკებს, მანქანებს და რას აღარ. იმ ავადსახსენებელ ხანაში არ დარჩა ჩვენი საზოგადოების არც ერთი ფენა, რომელსაც თავზე არ დაატყდა ეს უმსგავსობა. მე პირადად, როგორც მეწარმემ, ამ ყაჩაღობის სიმწარე საკუთარ თავზე გამოვცადე, ისიც ვნახე, ციხეში გამომწყდეულებს როგორ აიძულებდნენ ბანკის სესხების აღებას და მათ მიერ მიცემულ ანგარიშზე თანხის გადარიცხვას. ამას ყველაფერს ისეთი სისასტიკით და ამაზრზენად აკეთებდნენ, რომ მეწარმეობას საერთოდ შეგაჯავრებდნენ.

ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ მსგავსი მეთოდებით ადამიანთა წამება-გატყავებას 1938-45 წლებში ახორციელებდნენ გერმანელი ფაშისტები, რის მატერიალურ და მორალურ ანაზღაურებასაც ახლა კონტრიბუციის სახით იხდის გერმანიის სახელმწიფო. და აქ მე მიჩნდება კითხვა, თუ დღეს გერმანია იხდის კონტრიბუციას, რატომ იგივე არ უნდა გააკეთოს დაყაჩაღებულ მეწარმეთა ზარალის ასანაზღაურებლად „ნაციონალურმა პარტიამ“, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს? ჩემი აზრით, ეს იქნება ნამდვილი სამართლიანობის აღდგენა, რისთვისაც დღევანდელმა საპარლამენტო უმრავლესობამ უნდა იზრუნოს.

მალხაზ დოლიძე,
მეწარმე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

◎ წკეპლიკა

კონცერტი ხმლებით!!!

განცხადება: იმართება საქველმოქმედო კონცერტი ოპოზიციონერ პოლიტიკოს ქალთა მონაწილეობით. კონცერტი ხანმოკლე, მაგრამ ერთობ შთამბეჭდავი იქნება.

პირველ ნომრად წარმოგვიდგენენ ცეკვა „სამაიას“ ირმა ნადირაშვილის, სალომე სამადაშვილისა და თინა ბოკუჩავას მონაწილეობით, „ჯეირანს“ იცეკვებს ხათუნა გოგორიშვილი. კონცერტს ხმლის ტრიალით დაასრულებს ელენე ხოშტარია.

კონცერტს მუსიკალურად უხელმძღვანელებს ბოკერიას, ნაყოფიას და თარგამაძის ცნობილი ბენდი.

ლონდა მდივანი

საკრებულოს წევრმა მედალოსნები დაასაჩუქრა

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარი წევრის ბესიკ ქარცივაძის ინიციატივით, საკრებულოს დიმიტრი ყიფიანი სახელობის სხდომათა დარბაზში, ამავე რაიონის სკოლების მედალოსანი ბავშვები დაჯილდოვეს.

აღნიშნული რაიონის საკრებულოსა და პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატებმა ოქროსმედალოსან 60 მოსწავლეს და 20 სკოლის დირექტორს მადლობის სიგელები გადასცეს და წარჩინებულ ახალგაზრდებს წარმატება მიულოცეს.

ბესიკ ქარცივაძემ მოსწავლეებს სიტყვით მიმართა, წარმატება მიულოცა და აღნიშნა, რომ ღონისძიების მიზანი წარჩინებული ახალგაზრდების წახალისება და მათ დაფასებაა.

ღონისძიებას, რომლის დასასრულს, გლდანის რაიონის სკოლების ოქროსმედალოსანმა მოსწავლეებმა საკრებულოს პროექტში „გადაწერე ვეფხისტყაოსანი“ მიიღეს მონაწილეობა, გლდანის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად საქართველოს პარლამენტისა და დედაქალაქის საკრებულოს წევრები ესწრებოდნენ.

გიგა ბათიაშვილი: პირდაპირ მივმართავ ბატონ დავით ნარმანიას: მერიის ფრთის ქვეშ მოქცეული არქიტექტურის სამსახური ერთიანადაა დასაშლელი, იმიტომ, რომ სტრუქტურულად არასწორადაა შექმნილი



სიმართლე გითხრათ, ამ დღეებში საგანგებოდ თავადაც ვაპირებდი დაკავშირებას თბილისის საპატიო მოქალაქესთან, საქართველოს დამსახურებულ არქიტექტორთან, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწესთან, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსთან, კიდევ უამრავთ სხვა, არანაკლებ საპატიო წოდების მფლობელ სახელოვან კაცთან, ბატონ **გიგა ბათიაშვილთან**. ამის მიზეზი კი დედაქალაქის ხელმძღვანელობის დიდი ხნის წინათ საზეიმოდ დადებული პირობა გახლდათ, რომ მაისის მიწურულს რამდენიმე ათეული წლის ნანატრი და ჰაერივით აუცილებელი თბილისის განვითარების გენერალური გეგმა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა და ამ დანაპირების შესრულება-არშესრულებასთან დაკავშირებით მასთან მინდოდა მესაუბრა, რის თაობაზე ადრევე ვიყავით შეთანხმებულები, მაგრამ შეხვედრა არ შედგა. ამდენად, მისი ზარი ჩემთვის მოულოდნელი და მეტად სასიამოვნო სიურპრიზი იყო, თუმცა კი შემდეგ, მიზეზი რომ გავიგე, გუნებაც გამიფუჭდა და აღშფოთებამაც შემიპყრო, რომელსაც, ვფიქრობ, წერილის წაკითხვის მერე თავადაც გაიზიარებთ, პატივცემულო მკითხველო.

თავდაპირველად, ძალიან მოკლედ მოგახსენებთ შექმნილი ვითარების არსს, როგორც ეს ბატონმა გიგამ შეხვედრისას მიამბო:

— წლეულს, 23 მარტს, დედაქალაქის მერიის არქიტექტურის სამსახურში თბილისში, პ. მელიქიშვილის ქუჩისა და ვარაზისხევის შესაყარში მრავალფუნქციური საცხოვრებელი შენობის არქიტექტურული გააზრების საპროექტო გადაწყვეტა წარვადგინე.

აქ ერთი განმარტება მინდა გავაკეთო: როცა დამკვეთმა აღნიშნული პროექტის შექმნა შემომთავაზა, ამას იმ პირობით დავთანხმდი, რომ მელიქიშვილისა და ვარაზისხევის გადაკვეთა დედაქალაქის ისტორიული ბირთვის გაგრძელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთია, ამიტომაც აქ ასაგებ შენობასაც არა „ამყოლი“, ერთგვარად მეორეხარისხოვანი, არამედ დომინანტი, არქიტექტურული ანსამბლის, ასე ვთქვათ, „ლოკომოტივის“ როლი უნდა შეესრულებინა, რაზეც დამკვეთი დამთანხმდა, თუმცა კი ეს, ცხადია, მთლიან ხარჯზე შესაბამისად აისახებოდა, რადგან ახალი შენობა შიგნიდანაც და გარეგნულადაც სათანადოდ „აღჭურვილი“ უნდა ყოფილიყო.

— ბატონო გიგა, იქნებ მოკლედ განმარტოთ, თუ რაში მდგომარეობს მელიქიშვილისა და ვარაზისხევის გადაკვეთაზე ასაგები შენობის თქვენს მიერ გააზრებული არქიტექტურული კონცეფცია?

— საქართველო ევროპული კულტურის საძირკვლის მქონე ქვეყანაა, რომლის მსოფლმხედველობა საუკუნენახევრით წინ უსწრებს ევროპულ რენესანსს. ნამდვილი სასწაული მოხდა ჩვენში შუა საუკუნეებში: საქართველოს სინამდვილეში ორიენტალისტური კულტურა ძალუმად შემოიჭრა, მაგრამ მაინც ვერ შეძლო ევროპული ფესვის ამოგდება და გაჩნდა არაჩვეულებრივი სიმბიოზი — ევროპული რომანტიზმი და აღმოსავლური კულტურის ელემენტები ერთმანეთს ორგანულად შეერწყა და დღემდე ისე მოაღწია, რომ ქართულ კულტურას ევროპულობის მისხალიც არ მოჰკლებია. ამის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როგორც თბილისის ძველ უბანში, ასევე ქვეყნის სხვადასხვა მხარეში. ამ ევროპულობის ფესვები ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთიდან იღებს სათავეს, ოღონდ ჩვენში — მარმარილოს კირქვა, აგური თუ ხე ჩაენაცვლა, შესაბამისად, პროპორციებიც სხვანაირი გახდა, თუმცა მთელმა სტრუქტურამ და შინაარსმა დღევანდლამდე, ფაქტობრივად, უცვლელად მოაღწია.

ამდენად, ჩემი პროექტი, გარკვეულწილად, განვითარების ამ ბაზისზე, მხატვრულ-ესთეტიკურ საყრდენზე ავაგე, მათ შორის, ციტატის სახით საქართველოს ისტორიის არა სრულიად განსხვავებული, არამედ განსვხავებულად ინტერპრეტირებული ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის რამდენიმე ძეგლის, მათ შორის ბანას ჩემეული, ასე ვთქვათ, „არანჟირება“ ჩავრთე. ეს სრულიად შეგნებულად, იმის საპირწონედ გავაკეთე, რაც ჩვენს ფულის ნიშნებზეა გამოსახული — ერთდროულად შოთა რუსთაველიც და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრიც. თავისთავად ეს თეატრი, მრავალჯერადი გადაკეთება-გადმოკეთების მიუხედავად, შესანიშნავი, თავისი დანიშნულების სრულად შესაბამისი ნაგებობაა, მაგრამ გარეგნული შესახედაობით იგი ფსევდომავრიტანული სტილის შენობაა, რომელსაც ქართულ კულტურასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ თეატრი იმ კაცის დაპროექტებულია, რომელსაც ქართული არქიტექტურის შესახებ მიახლოებითი წარმოდგენაც არ ჰქონია.

— მაინც რა გახდა თქვენი პროექტის დაწუნების მიზეზი?

— მერიის არქიტექტურის სამსახურში ჩემს მიერ წარდგენილი პროექტის განხილვას საბჭოს კომისიის ათი წევრი ესწრებოდა, რომელთაგან არც მოხსენების დროს, არც მის შემდეგ ჩემთვის... არც ერთი კითხვა არ დაუსვამს, კაციშვილს ხმა არ ამოუღია(?!).ამდენად, იქიდან გულდამშვიდებული წამოვედი, გარკვეული ხნის შემდეგ თბილისის არქიტექტურის სამსახურიდან უარყოფითი პასუხი მივიღე. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის/საბჭოს შეფასება „უარყოფითია“, ხოლო დასკვნა-რეკომენდაციაში, ნათქვამია: „უარი ეთქვას ქ. თბილისში, მელიქიშვილის ქ. №47-49-49ა-ში მრავალფუნქციური კომპლექსის ესკიზის წარმოდგენილ ვარიანტს. რეკომენდაცია: სასურველია, საპროექტო ობიექტის არქიტექტურული სახის გასადავება — მხატვრული ელემენტებისა და გადატვირთული დეკორის მოხსნით“.

ამ დოკუმენტში არც კომისია/საბჭოს წევრთა პერსონიფიცირებაა, არც ხელს აწერს ვინმე, არც შენიშვნის გასწვრივ მისი საფუძველია მითითებული.

ყოველივე ამან საშინლად აღმაშფოთა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ საქმე პირადად მე, არამედ ერთიანად არქიტექტურას, როგორც ეროვნული კულტურის უმნიშვნელოვანეს გენერატორს ეხება, რომელსაც მავანნი ყოველგვარი პატივისცემის გარეშე ეკიდებიან. ამის მიზეზი ნაწილობრივ უცოდინარობა, ნაწილობრივ, უკაცრავად და, თავხედობა, ნაწილობრივ კი ჩინოსანთა მიერ საკუთარი ყოვლისშემძლეობის განცდაა.

სწორედ ჩემი აღშფოთების გამო იყო, რომ შესაბამისი განცხადებებით მივმართე თბილისის მერს დავით ნარმანიას, თბილისის მერიის საკრებულოს თავმჯდომარეს გიორგი ალიბეგაშვილს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს მიხეილ გიორგაძესა და საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს მარიამ ჯაშს. მათი შინაარსი, არსებითად, ერთნაირია და, კერძოდ, ნათქვამია: „ვინაიდან თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ ხსენებული პროექტის განხილვის შედეგად შეგვატყობინეს უარყოფითი გადაწყვეტილება (ბრძანება №3204905), რომელიც ყოვლად მიუღებელია როგორც პროფესიულად, ისე იურიდიულად და, ამავდროულად, არაეთიკურია, ვკადნიერდები და დაბეჯითებით გთხოვთ, გამონახოთ დრო, რათა თქვენი მონაწილეობით განვიხილოთ აღნიშნული, რადგან ვითარება არასასურველია არა მარტო ჩემთვის, არა მარტო დამკვეთისათვის, არამედ ეროვნული კულტურის მშენებლობისათვის, თვით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსთვის, რომლის როგორც მოქალაქეობრივ, ისე პროფესიულ სინდისზეა არაერთი გადაწყვეტილება, რომლის მშენებლობით განხორციელებული შედეგები სახეზეა. ვკადნიერდები და პირველად ვაწერ ხელს ზოგიერთი რეგალიების ჩამოთვლით... **(ამას მოჰყვება ბატონი გიგას ტიტულების რამდენიმესტრიქონიანი ჩამონათვალი, რომელთაგან ზოგიერთი მკითხველს წერილის დასაწყისში შევახსენე, ბოლოს კი, P. S.-ით ასეთი რამაა ნათქვამი — ო.ტ.)**: ...ცნობისთვის: არ ვაპირებ ვიბრძოლო ჩემი პროექტის დადებითად შეფასებისთვის, უარს ვამბობ მის მშენებლობით განხორციელების შესაძლებლობაზე, თუ არ დავრწმუნდები, რომ ამ ქმედებით ავაცდენ დარტყმას ქართულ ეროვნულ ღირსებას, გზას გადავუკეტავ კომკავშირულ ქმედებებს, უმეცრობას და უსინდისობას“.

ამდენად, ჩემი მიმართვის ადრესატებისგან წერილობითი პასუხის მიღება მსურდა პროექტზე უარყოფითი დასკვნის მიზეზებთან დაკავშირებით და არა მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება.

აქვე ერთგვარი დამატების სახით მინდა გითხრათ, რომ ვიდრე პროექტს მერიის არქიტექტურის სამსახურში განსახილველად შევიტანდი 10, 11 და 13 მარტს მოეწყო მისი სამჯერადი პრეზენტაცია, რის შედეგად დაწერილ რეცენზიებს თერთმეტმა ჩვენმა სახელოვანმა არქიტექტორმა, მხატვარმა, ხელოვნებათმცოდნემ, ფილოსოფოსმა, მათ შორის ვახტანგ დავითაიამ, გიორგი გუგუშვილმა, ნოდარ ამაშუკელმა, ნინო ღაღანიძემ, დავით ანდრიაძემ და სხვებმა, საქართველოს არქიტექტორთა კავშირისა და ასოციაციის, ასევე ჟურნალ „სტილის“ წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი. მერიის არქიტექტურის კომისიის/საბჭოს წევრებს კი არც ჩაუხედავთ, თუ რა წერია მასში!

იხ. 8 გვ.

გიგა ოთხოზორიას მკვლელობის საქმეზე ევროკავშირის წარმომადგენლობა განცხადებას ავრცელებს

გიგა ოთხოზორიას მკვლელობის საქმეზე საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა განცხადებას ავრცელებს:

„აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება 2016 წლის 19 მაისს აფხაზეთის სეპარატისტული რეგიონის ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის ხურჩა-ნაბაკევის გადაკვეთის პუნქტთან საქართველოს მოქალაქის, სამოქალაქო პირის მკვლელობაში ეჭვმიტანილისთვის ბრალის მოხსნის შესახებ, ხელს უშლის მართლმსაჯულების აღსრულებას.

გადაწყვეტილება უგულებელყოფს იმ ინტენსიურ შრომას, რომელიც სრული ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და ითვალისწინებდა, ასევე, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში მიმდინარე შეხვედრებზე საგამოძიებო მასალების გადაცემას. მძიმე დანაშაულის ჩამდენთა დაუსჯელობა უარყოფით გავლენას ახდენს უსაფრთხოების განცდაზე ადგილებზე.

უნდა გაგრძელდეს მუშაობა ამ და სხვა საქმეებზე, რომლებიც უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული“, — ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი გადადგა

გოჩა ზეიკიძის **გადადგომის შესახებ ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაციაში ადასტურებენ.**

როგორც ცნობილია, ზეიკიძე მუშაობას სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთ უწყებაში განაგრძობს.

პატივი მიაგეს მეხანძრე-მაშველის ხსოვნას

შს მინისტრის მოადგილემ მერაბ მალანიამ, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული, შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მეხანძრე-მაშველის ზურაბ მუზაშვილის ხსოვნას პატივი მიაგო. მინისტრის მოადგილემ სოფელ აღაიანში გმირი მაშველის მემორიალი და საფლავი გვირგვინით შეამკო.

ღონისძიებას შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლები, მეხანძრე-მაშველები და ზურაბ მუზაშვილის მამა ესწრებოდნენ.

ზურაბ მუზაშვილმა 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის დროს 8 ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შეძლო, თავად კი დაიღუპა. შინაგან საქმეთა მინისტრის ინიციატივით, თბილისში, ნუცუბიძის პლატოზე, ერთ-ერთ ქუჩას ზურაბ მუზაშვილის სახელი მიენიჭა. გმირი მეხანძრე-მაშველი განსაკუთრებული მამაცობის, სამაგალითო მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და თავდადებისთვის, სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით — „სამოქალაქო თავდადებისთვის“. სახელმწიფო ჯილდო დაღუპული მაშველის მამას გადაეცა.

დავით-გარეჯა საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ეკლესიის განუყოფელი ნაწილია

„ხოლო ნეტართა მათ მოწაფეთა მისთაჲცა (იოანე ზედაზნელისა) მოვიჴსენოთ მცირედ, რომელნი განათლდეს და სხუანი განანათლეს საზღუართა შინა ქართლისათა, რამეთუ მრავალნი მონასტერნი აღაშჱნნეს, რომელნი ვიდრე დღენდელად დღედმდე ჰგიან შეურყეველად და დიდებულად ღმრთისა მადლითა და ლოცვითა მათითა“.

(„ასურელ მამათა ცხოვრება“, უძველესი რედაქცია, სინ – 50)

დავით-გარეჯას სამონასტრო კომპლექსი VI ს. პირველ ნახევარში დააარსეს „სირიელმა მამებმა“, დავით გარეჯელმა და მისმა მოწაფეებმა, რომლებიც მოვიდნენ საქართველოში მართლმადიდებლური ქრისტიანობის განსამტკიცებლად. მონასტერი მდებარეობს თბილისიდან 70-ოდე კმ-ის დაშორებით, გარეჯის უდაბნოში, ძველ ქართულ პროვინციაში, კახეთში. ის ქართლის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის – რუსთავის საერისთავოს – შემადგენლობაში შედიოდა. ეკლესიებს გარდა ამ შესანიშნავი ისტორიული ძეგლიდან, შემორჩენილია ქართული წარწერები, მათ შორის VI-VII საუკუნეების ექვსსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა სტელაზე. IX საუკუნისაა უძველესი კედლის მხატვრობა, XII-XIII საუკუნეებით არის დათარიღებული ფრესკა თამარ მეფისა. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში და დღემდე გარეჯას სამონასტრო კომპლექსი ქართული ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერას წარმოადგენს. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ ჩატარებულმა ფართომასშტაბიანმა გათხრებმა (აკად.წევრკორ., პროფ. კ. ფიცხელაური და სხვ.) დაადასტურა, რომ ძველი ქვის ხანიდან მოყოლებული აღნიშნული მხარე ადამიანის მიერ უკვე ათვისებულია. აქ ბრინჯაო-ადრერკინის ხანის რამდენიმე დასახლება და სამაროვანია აღმოჩენილი, რომელიც აღმოსავლურ-ქართული არქეოლოგიური კულტურის ორგანული ნაწილია. ამგვარად, აქ ჩვენს წინაპრებს კომპაქტურად უცხოვრიათ ძვ.წ. VI ს-ში ეკოლოგიური პირობების გაუარესებამდე. შემდეგ კი, შუა საუკუნეებში ამ ტერიტორიას საძოვრებად იყენებდნენ. VI საუკუნიდან კი ქართული სამონასტრო კომპლექსი შენდება.

1924 წლიდან მონასტრის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ამიერკავკასიის ფედერაციის აღმასრულებელი კომისიის დადგენილებით (საქართველოს აჯანყების შემდეგ!) აზერბაიჯანის სოციალისტურ რესპუბლიკას გადაეცა იმ საბაბით, რომ იქაური მომთაბარე მწყემსები საძოვრების ნაკლებობას განიცდიდნენ. ამ დანაშაულებრივ ქმედებაში დიდი წვლილი მიუძღვით იმ დროის ქართველ ინტერნაციონალისტ კომუნისტებს ს. ორჯონიკიძეს, ფ. მახარაძეს და სხვ. (დაწვრ. იხ. ლ. მირიანაშვილი, საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრის ცვლილების ისტორია XX საუკუნეში, თსუ, კავკასიური ძიებანი, I, თბ. 2009, გვ. 493-501).

დღეისათვის საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარი დავით გარეჯის მონასტრის ამაღლებულ მთაგორიან ნაწილზე გადის.

როგორ არ გავიხსენოთ აქ საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის 1919 წლის 16 ივნისს დადებული „თავდაცვითი ხელშეკრულება“, რომლის თანახმადაც საშიშროების შემთხვევაში ისინი ერთად დაიცავდნენ თავიანთი ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას. რუსეთმა არც ეს აპატია საქართველოს. ამ ხელშეკრულებაში სიტყვაც არ არის ნათქვამი რაიმე ტერიტორიულ პრეტენზიებზე, ან იმაზე, რომ დავით გარეჯის სატაძრო კომპლექსი „ალბანური კულტურის“ ძეგლია და არა ქართული ქრისტიანული სიწმინდე.

ეს ადგილები 1921 წელს მოინახულა და შეისწავლა სახელგანთქმულმა მეცნიერმა, აკად. გ. ჩუბინაშვილმა. მთავრობის სახელზე გაგზავნილ „გარეჯის ექსპლუატაციის“ საექსპერტო დასკვნაში ის აღნიშნავს, თუ რა უზარმაზარ კულტურულ ღირებულებათა მატარებელია ეს უნიკალური ქართული ქრისტიანობის ძეგლი. 1943 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ რუსულ ენაზე გამოაქვეყნა მისი მონოგრაფია „დავით გარეჯის მღვიმური მონასტრები“, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის გარეჯის კომპლექსის შესახებ.

როგორც ჩანს, დავით გარეჯის შესახებ ცოტა რამ იცოდა აზერბაიჯანელმა ჟურნალისტმა, ქალბატონმა ელენე რუსტამოვამ, რომელმაც ბაქოში ა.წ. მარტში გამოაქვეყნა წერილი, სადაც ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე გარეჯა ალბანური ქრისტიანული კულტურის კუთვნილებად გამოაცხადა. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკამ“ სააგენტო „ნიუს პრესის“ მეშვეობით ეს სტატია გადმობეჭდა. აღინიშნა ისიც, რომ წელს დაგეგმილია ქართულ-აზერბაიჯანული 480 კმ-იანი სასაზღვრო ხაზის დელიმიტაციის დასრულება. ამ წერილს, რომლის სახელწოდებაა „ვის დარჩება დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი“ საზოგადოებრივ ქსელში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. „საქართველოს რესპუბლიკამ“ (25 მარტი, № 67, გვ. 6-7) ცხელ კვალზე გამოაქვეყნა არგუმენტირებული სტატია სათაურით: „სათაყვანებელი რელიგიური სიწმინდე“, რომელიც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს პროფ. დავით მერკვილაძეს ეკუთვნის. რედაქციამ პუბლიკაციას თავისი მეტყველი სლოგანები, ეპიგრაფი, პროლოგი და ეპილოგი დაურთო: **„ისტორია ჩვენს მხარეზეა!** და აკად. ნ. კეცხოველისეული... **„მიეცით ნებისმიერ ერს დავით გარეჯი და მას ისტორია ექნება“.**

რედაქცია თავის მკითხველებს, საზოგადოებას, მათ შორის ჩვენც, გვისვამს მტკივნეულ კითხვას: **„ვისია სინამდვილეში დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი და როგორ იქცა ეს საკითხი ორ სახელმწიფოს შორის სადავო თემად“.**

ნიშანდობლივია, რომ ამ ჭეშმარიტად არარიტორიკულ კითხვას პასუხი გასცა ჯერ კიდევ მღვდელ-მონაზონმა გერმოგენმა თავის ვრცელ ინფორმაციაში: „დავით გარეჯის უდაბნოს აკლება“, რომელიც 1918 წელს დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს“ იანვრის ორ, 14 და 19 ნომერში. **აზერბაიჯანელმა მწყემსებმა, რომლებიც ცხვარს ყარაიას ველზე აძოვებდნენ, ზამთრის სადგომებად მოითხოვეს საუკუნეების განმავლობაში რუდუნებით ნაგები და მოხატული დავით გარეჯისა და უდაბნოს სამონასტრო კომპლექსები; თავს დაესხნენ ლავრას, გაძარცვეს მონასტრები, გაანადგურეს ჯვარ-ხატები და გადაწვეს იქაურობა, წერაქვებით დაშალეს ნაგებობები, იმ მიზნით, რომ „ყოველივე ნიშანწყალი გაექროთ კვალი ძველის ქართული კულტურისა“** – წერდა მეუფე გერმოგენი. ცხადია, ასე ვანდალურად ისინი თავიანთ წინაპრების ნაამაგარს, ალბათ, არ მოექცეოდნენ. საქართველოს მთავრობა იძულებული იყო, გარეჯის ლავრისთვის შეიარაღებული მცველები დაეყენებინა.

საბჭოთა საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ჩაიდინა დანაშაულებრივი აქტი: **უკანონოდ, ყოველგვარი წესის დარღვევით 1922 წლის 28 იანვრიდან ყარაიასა და უდაბნოს დიდი ნაწილი სპეციალური დადგენილებით (როგორც საძოვრები და არა კულტურის ძეგლები!) საბჭოთა აზერბაიჯანს გადასცა. ამ „საძოვრებში“ აღმოჩნდა ბერთუბნისა და უდაბნოს მონასტრები, თამარ მეფისა და ლაშა გიორგის, დემეტრე II თავდადებულისა და ქტიტორთა დიდებული ფრესკებით. კომუნისტური რეჟიმის დროს ლავრა მომთაბარე მწყემსების თავშესაფარი გახდა.**

ამიერკავკასიის სსრ ფედერაციის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის **1923 წლის 30 აპრილის დადგენილებით ელდარის სტეპი აზერბაიჯანის სსრ გადაეცა. ადმინისტრაციულმა საზღვარმა დავით გარეჯისკენ გადაინაცვლა, რომელიც ყოველთვის საქართველოს სახელმწიფოს ისტორიულ მიწა-წყალს წარმოადგენდა** (იხ. ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. გამოფენის მეგზური, რედაქტორი აკად. რ. მეტრეველი. თსუ გამომცემლობა. თბ., 2016, გვ. 24-30).

1925 წლის 17 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა საქართველოსა და აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების კომისრების ა. გეგეჭკორისა და ი. ბუნიათ-ზადეს საქმიანი შეხვედრა სიღნაღისა და ზაქათალის მაზრების („უეზდების“) საზღვრების სადავო მონაკვეთების თაობაზე (შსს არქივი, ფონდი 14, აღწ. 3, საქმე №54, გვ. 22). **გადაწყდა საზღვარი ალაზანზე დარჩენილიყო, ხოლო გარეჯის მიმდებარე საძოვრები „შრომითი გამოყენების პრინციპით“ მიემაგრათ აზერბაიჯანისათვის, რადგან ისინი თითქოს „ფაქტიურად მათ შრომით სარგებლობაში იმყოფებოდა“.** ამიერკავკასიის სსრ ფედერაციის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის 6 ოქტომბრის დადგენილებით დავით-გარეჯის მონასტრის კულტურის ძეგლების დაცვა დაევალა საქართველოს სსრ თბილისის მაზრის აღმასკომს. გამოიყო შეიარაღებული მცველების საშტატო ერთეულები. მოხდა რამდენიმე შეტაკება ძეგლის მცველებსა და აზერბაიჯანელ მწყემსებს შორის, რომელთაც ეწადათ საქონლის ზამთრის სადგომად გამოეყენებინათ სამონასტრო ნაგებობები. 1926 წლის იანვარში ეს კონფლიქტური სიტუაცია განხილულ იქნა „ზაკ კრაიკომის“ სხდომაზე ფ. მახარაძის და ს. თორდიას მონაწილეობით, რომელმაც კანონიერად ცნო 1922 წლის ხელშეკრულება „საძოვრების გამოყენების თაობაზე“. **1929 წლის 18 თებერვალს ამიერკავკასიის სსრ ფედერაციის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო ახალი დადგენილება „გარეჯის ზამთრის საძოვრების და ელდარ სამუხის ზამთრის საძოვრების შესახებ“. საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარმა ჩიჩხიტურის სერსა და იქ მდებარე კოშკზე გაიარა** (იხ. ჯ. კეკელია, საქართველოს ტერიტორია და საზღვრები, თბ., 2006, გვ. 51-55). პრობლემასთან დაკავშირებული ყველა საბუთი რუსულ ენაზეა შედგენილი და გამოქვეყნებულია (იხ. ს. ვარდოსანიძე, ვ. გურული, კ. ხარაძე, ლ. ჯიქია. მ. კვარაცხელია, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ისტორია (1917-1957 წწ.). გამოკვლევა, დოკუმენტები და მასალები. რედაქტორი აკად. რ. მეტრეველი. თბ., 2015, გვ. 126-127).

XX ს. 80-იან წლებში, როდესაც საქართველოს სსრ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ დავით გარეჯის ტერიტორიაზე დაგეგმა კომპლექსური სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები, რეალურად დადგა საკითხი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დარჩენილი ბერთუბნისა და უდაბნოს, ხოლო ჩიჩხიტურის ნაწილობრივ კომპლექსის ერთიანი გეგმით აღდგენისა. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა არქიტექტორ-რესტავრატორმა თ. აბრამიშვილმა მიმართა ქვეყნის ხელმძღვანელობას, რათა ეშუამდგომლათ აზერბაიჯანის მთავრობის წინაშე ზემოხსენებული ისტორიული მხარისა და ქართული ძეგლების გადმოცემის მიზნით. სანაცვლოდ ქვეყანას დაეთმო სხვა ტერიტორია. სამწუხაროდ, შემდგომში განვითარებული მოვლენების გამო, როგორც ჩვენში, ასევე მეზობელ ქვეყანაში, აღნიშნული პრობლემა გადაუწყვეტელი დარჩა. როგორც ვრწმუნდებით, დღეს იგი კვლავ აქტუალური ხდება.

საკითხის გადაწყვეტამდე, ჩვენი აზრით, დავით-გარეჯის ლავრის კომპლექსის ტერიტორია ნეიტრალურ ზონად უნდა გამოცხადდეს, რომლის მონახულების საშუალება ყველას უნდა მიეცეს, ტურისტებსა თუ მომლოცველებს, რადგან ეს ძეგლი, „გარეჯის ათორმეტნი მონასტერნი“ (წამებული, ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური, თეთრსენაკები, დოდოს რქა, უდაბნო, აღდგომისა, ბერთუბანი, მღვიმე, ქოლაგირი, დიდი ქვაბები, ვერანგარეჯა, პირუკუღმართი, პატარა ქვაბები) თბილისიდან 70 კმ-ის მანძილზე მდებარეობს და უძველეს ქართულ მიწაზეა განთავსებული. ამასთან, ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან მოყოლებული, ქართული ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტად არის გამოცხადებული. 2008 წლის 24 ოქტომბრიდან გაეროს 33-ე სესიაზე შეტანილია „იუნესკოს“ მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა წინასწარულ ნუსხაში, 8 პარამეტრით (არქეოლოგია, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა და სხვ.). ამ კომპლექსს აზერბაიჯანელები „ქეშიჩკ-დაღს ანუ „მღვდლის მთას“ უწოდებენ. პრობლემა მისი ტერიტორიული კუთვნილებისა, აზერბაიჯანელი ექსპერტის მუბარიზ ახმედოღლუს აზრით, „ღიად რჩება“ და „არანაირი თვალსაჩინო შედეგი არ არის მიღწეული“. **მხარეები კარგად გრძნობენ პოზიციების დაახლოების აუცილებლობასაც, რაც იმედის მომცემია. საქართველო უარს ვერ იტყვის თავის კულტურულ მემკვიდრეობაზე, რაც განმტკიცებულია უამრავი წყაროებითა და დოკუმენტური მასალითაც** (დაწვრ. იხ. გარეჯის ისტორიული დოკუმენტები XIII-XVIII სს. ნაკვეთი I, II. გამოსაცემად მოამზადეს დ. ლომიძემ, მ. ჭუმბურიძემ და ზ. სხირტლაძემ. გამომცემლება „გარეჯის კვლევის ცენტრი“ და „საქართველოს ეროვნული არქივი“, თბილისი, 2008, 2011). გარეჯა გახლდათ ქართული სამონასტრო ცხოვრების აკვანი, ქართული განათლების, მწიგნობრობის ერთ-ერთი მძლავრი კერა, კლდეში ნაკვეთი სავანე.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ი. ალიევის 2007 წლის 19 იანვრის ბრძანებულებით აღნიშნული ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსი გამოცხადებულია ქართულ-აზერბაიჯანული „დიალოგის სივრცედ“. დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსს ახლახან სპეციალური ნარკვევი მიუძღვნა თანამედროვე აზერბაიჯანელმა მკვლევარმა იუნუს ნასიბლიმ (იხ. |Vunis Nasibl: The Keshikchdagh Monastic Compleks, ოქსფორდის კრებული, გვ. 86-90). ის ეყრდნობა არქეოლოგ მანსურ მანსუროვის მოსაზრებებს, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დარჩენილი დაზიანებული ტაძარი თითქოს „ალბანური სტილის ნაგებობას“ უნდა წარმოადგენდეს, რომელზეც შემდეგ დააშენეს ქართული ეკლესია. აქ უნდა მოვიტანოთ პროფ. გ. ოთხმეზურის სიტყვები, რომლის მიხედვით დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსში VII-XIX სს. 1000-ზე მეტი ქართული წარწერა-გრაფიტოა აღმოჩენილი, რომელთა შორის არც ერთი არ არის ალბანური (იხ. გ. ოთხმეზური, დავით-გარეჯი: წარსული და აწმყო. გაზეთი „კლიტე დავითისი“, 2012 წლის 12 ივლისი). ავტორის სიტყვებით: **„ქართული სულიერების, მართლმადიდებლობის, კულტურისა და განათლების ერთ-ერთი უდიდესი სავანე საქართველოში ქრისტიანობის განმტკიცებისა და გავრცელების უძველესი კერა“ — დავით-გარეჯის ლავრაა.** მას განსაკუთრებული მზრუნველობა ესაჭიროება. ამაზე იყო საუბარი 2000 წლის სექტემბერში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე „სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში. გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი“ (იხ. სიმპოზიუმის მასალები. რედაქტორი პროფ. ზ. სხირტლაძე, თბ., 2001).

II მსოფლიო ომის შემდეგ, 1945 წელს, დავით-გარეჯში მოეწყო და 1990 წლამდე განთავსებული იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საარტილერიო და სატანკო საწვრთნელი პოლიგონი. XX ს-ის ოთხმოციან წლებში დავით-გარეჯის კომპლექსის დასაცავად ეროვნულმა მოძრაობამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობამ ფართომასშტაბიანი საპროტესტო გამოსვლების შედეგად მიაღწიეს იმას, რომ აღნიშნულ პოლიგონზე შეწყდა სამხედრო საწვრთნელი მანევრები, დაბომბვები, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა დავით-გარეჯის კულტურულ-ისტორიულ, მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლებს. სამწუხაროდ, მაშინ აზერბაიჯანულ მხარეს რაიმე შეშფოთება ან თუნდაც „ალბანური კულტურული“ ძეგლის ბედთან დაკავშირებით არ გამოუხატავს.

დღესაც საზღვრის ხაზი საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ჩიჩხიტურის სერსა და იქ მდებარე კოშკზე გადის, რაც მრავალ უხერხულობას ქმნის.

ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს, რომ ხსენებული ტერიტორია გარეჯის სამონასტრო კომპლექსითურთ საქართველოს შემადგენლობაში დარჩეს. ეს შეიძლება გადაწყდეს მთავრობათშორისი მოლაპარაკების შედეგად.

ვფიქრობთ, სადავო საკითხის გადასაჭრელად ოთხი ძირითადი ფაქტორი უნდა იქნეს გათვალისწინებული: **1) ისტორიული, 2) კონფესიური, 3) სამართლებრივი და 4) პოლიტიკური.**

ბოლშევიკური საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი, ანექსირებული საქართველოს ადმინისტრაციული საზღვარი აზერბაიჯანთან გარეჯის პარამეტრზე არ უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო საზღვრად. მიგვაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ამ საკითხში უნდა დაიკავოს უაღრესად პრინციპული პოზიცია (საქმე ეხება დაახლოებით 500 ჰა სადავო მონაკვეთს. ჩვენ, მონაცვლეობის პრინციპზე დაყრდნობით, შეიძლება დავთმოთ საზღვრისპირა სხვა სექტორში. მით უმეტეს, რომ დავით გარეჯის კომპლექსს არავითარი კავშირი არა აქვს არც აზერბაიჯანის და არც ისტორიული ალბანეთის მატერიალურ და სულიერ კულტურასთან. თუმცა უდაბნოსა და ბერთუბნის მონასტრები დღეს აზერბაიჯანის საზღვრებშია, ისევე როგორც გობის საეპისკოპოსო საყდარი და ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია საინგილოში. შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯან-საქართველოს საზღვრის დამდგენ I რესპუბლიკის სამთავრობო კომისიაში (1918-1921 წწ.) მუშაობდნენ ივ. ჯავახიშვილი და პ. ინგოროყვა. 1919 წელს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს“ ეგიდით გამოსულ ივ. ჯავახიშვილისეულ მონოგრაფიას: „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ და თანდართულ რუკას თავისი დიდი მეცნიერული ღირებულება დღესაც არ დაუკარგავს და საჭიროა, მას ყურადღებით გაეცნონ ჩვენი საზღვრების დამდგენი სამთავრობო კომისიის წევრები, ისევე როგორც პ. ინგოროყვას ნარკვევს: „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“ (რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა „სარანგი“, თბ., 1990, გვ. 13-15).

„დავით-გარეჯის“ პრობლემა უმნიშვნელოვანესია და მის გადაჭრაში საქართველოს მთავრობისა და პირადად პრემიერ-მინისტრის მონაწილეობა აუცილებელია.

ამგვარად, უდაბნოს, დავით-გარეჯის საკითხი მეტად მტკივნეულია! სსრკ დროინდელი ადმინისტრაციული საზღვარი არ შეიძლება უპირობოდ ჩაითვალოს ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოს საზღვრად, მით უმეტეს, რომ ამ საზღვრის საბოლოო დელიმიტაცია და დემარკაცია არ განხორციელებულა.

მარიამ ლორთქიფანიძე,
აკადემიკოსი,
როინ მეტრეველი,
აკადემიკოსი,
ნანა ხაზარაძე,
აკადემიკოსი,
ზაზა ალექსიძე,
აკადემიკოსი,
დავით მუსხელიშვილი,
აკადემიკოსი,
გურამ ლორთქიფანიძე,
აკადემიის წევრ-კორ.

ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია აქუბარდიების ოჯახს მიწის ნაკვეთს უბრუნებს

ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია, ჭალეში, ეპარქიისთვის გადაცემულ მიწის ნაკვეთს, რომელზეც „სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ გადამცემი ხაზის მშენებლობა იგეგმება, აქუბარდიების ოჯახს უბრუნებს. ამის შესახებ ინფორმაციას ეპარქია ავრცელებს. ეპარქიის განცხადებით, ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა წარმოადგენს სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეს და ეკლესია წინადადებას ამ მიზეზით დათანხმდა.

„2009 წელს ვალტერ და ია აქუბარდიებმა გარდაცვლილი შვილის — ომარის სახელზე ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიას შემოსწირეს მათ საკუთრებაში არსებული კარ-მიდამო. ოჯახის სურვილი იყო, რომ აღნიშნულ ადგილას დაარსებულიყო მონასტერი. ქონება იურიდიულად გადაუფორმდა საქართველოს საპატრიარქოს. ფინანსური და სხვა ობიექტური მიზეზის გამო მონასტრის დაარსება გაჭიანურდა. მიუხედავად იმისა, რომ კარ-მიდამო იურიდიულად ეკუთვნოდა ეკლესიას, მისით არასდროს უსარგებლია, რადგან შემოსავალს (თხილნარი და სახნავ-სათესი) განკარგავდნენ ოჯახის ნათესავები.

2016 წელს ჯვარი-ხორგას მაღალი ძაბვის ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომლის ერთ-ერთი ანძა პროექტის თანახმად უნდა აღმართულიყო შემოწირული ეზოს ტერიტორიაზე. მიწის დათმობისათვის კომპანიამ „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ მიმართა ეპარქიას. იმის გათვალისწინებით, რომ გადამცემი ხაზის მშენებლობა წარმოადგენს სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეს, ეკლესია დათანხმდა წინადადებას და კომპენსაციის სახით ეპარქიის ანგარიშზე ჩაირიცხა 171 663 ლარი. აღნიშნული თანხა უნდა მოხმარებოდა ზუგდიდის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის სახელობის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობას. აქვე აღვნიშნავთ, რომ კომპენსაცია მიიღო ელექტროგადამცემი ხაზის ზონაში მოხვედრილი მოსახლეობის უმრავლესობამ.

სამწუხაროდ, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. ოჯახმა და ნათესავებმა გამოთქვეს უკმაყოფილება და განაცხადეს, რომ ეპარქიამ მათი ნების საწინააღმდეგოდ გამოიყენა და გაყიდა ზემოთ ხსენებული ქონება. ამასთან დაკავშირებით ეპარქიამ გააკეთა განცხადება მიმდინარე წლის 7 ივნისს. ეკლესია არასდროს ყიდის შემოწირულ ქონებას, არამედ უნარჩუნებს ქვეყანასა და შთამომავლობას.

წმ. მოციქული პავლე ბრძანებს: „მხიარულებით მისაცემილი უყვარს უფალსა“. რაკი აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით გაჩნდა უკმაყოფილება, ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიამ მიიღო გადაწყვეტილება უარი განაცხადოს ასეთ შემოწირულობაზე და სრულად დაუბრუნოს ოჯახს. რადგან მიმდინარეობს სათანადო იურიდიული პროცედურის დაზუსტება ამ ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით, განცხადება ამის შესახებ დღემდე არ გაჟღერებულა“, — ნათქვამია ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის განცხადებაში.

რა მდგომარეობაშია სეტყვით დაზარალებული სოფლები?

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა პრემიერ-მინისტრსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოუწოდებს კახეთში სეტყვით დაზარალებული სოფლები მოინახულონ, აღწერონ ზარალი და პირადად უხელმძღვანელონ ზარალის დამთვლელ კომისიას.

აღნიშნულის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე გიორგი ბოტკოველმა ისაუბრა.

„მინდა ვისაუბრო პრობლემაზე, რომელიც დღეს ყველაზე მეტად კახეთის რეგიონს აწუხებს. ხელისუფლების ერთ-ერთი პროექტი, რომლის განხორციელებაც 2013 წელს დაიწყო და 2015 წელს დასრულდა, კახეთში სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარების მონტაჟი იყო. აღნიშნული პროექტი ხელისუფლებას 20 მილიონ ლარზე მეტი დაუჯდა. ყოველწლიურად კი ბიუჯეტიდან დაახლოებით 3 მილიონი ლარი იხარჯება შესაბამისი ჭურვების შესაძენად. მაგალითად, მიმდინარე წლის მაისში, პრემიერის განკარგულებით, ტენდერისთვის, რომლითაც შესაბამისი ჭურვები უნდა შეძენილიყო, 1.5 მილიონი გამოიყო. ფაქტობრივად, ის თანხები, რომელიც ხელისუფლებამ 2015 წელს გადაიხადა და შემდეგ ყოველწლიურად იხარჯება, წყალშია გადაყრილი, რადგან 40 დასეტყვილი სოფელი გვაქვს, სადაც ხელისფულებას არანაირი რეაგირება არ მოუხდენია.

მივმართავთ ხელისუფლებას: სასწრაფოდ ჩავიდეს კახეთში პრემიერი და სოფლის მეურნეობის მინისტრი, ადგილზე შეისწავლონ ზარალის მასშტაბები და პირადად უხელმძღვანელონ ზარალის დამთვლელ კომისიას. აღნიშნული სოფლები გამოცხადდეს სტიქიური უბედურების ზონად და სასწრაფოდ დაიწყოს ზარალის ანაზღაურება. დაზარალებული გლეხები 2017 წელს მიწის გადასახადისგან გათავისუფლდნენ. ასევე, ხელისუფლებამ იზრუნოს, აღნიშნულ გლეხებს გაეწიოთ შეღავათები იმ სესხებზე, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსავლელად აქვთ აღებული“, — განაცხადა ბოტკოველმა.

გიგა ბათიაშვილი: „პირდაპირ მივმართავ ბატონ დავით ნარმანიას: მერიის ფრთის ქვეშ მოქცეული არქიტექტურის სამსახური ერთიანადაა დასაშლელი, იმიტომ, რომ სტრუქტურულად არასწორადაა შექმნილი“

მეტიც, არქიტექტურის სამსახურის უფროსის სახელზე გაგზავნილი ჩემი წერილის პასუხად, მისი მოადგილის, ვინმე კ. ჩხარტიშვილის ხელმოწერილი პასუხი მივიღე, რომელსაც მისი თავისით შედგენის ნიჭიც არ ეყო, რომ არქიტექტურასთან თუნდაც შორეულ კავშირში მყოფი დამატება დაეწერა და ზემოაღნიშნული სამსახურის ბრძანების ბოლო აბზაცი... სიტყვასიტყვით გადაიწერა!

ამ მიმართვების გაგზავნიდან გასულ თვენახევარზე მეტი ხნის მანძილზე, არათუ პასუხი, არამედ ჩემთან კონტაქტზე გამოსვლის არანაირი მცდელობაც არ ყოფილა ერთადერთი გამონაკლისის გარდა – ეს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე გახლდათ, რომელიც მე და ერთ-ერთ ჩემს კოლეგას თავისი ორი მოადგილის, კულტურული მამკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თავკაცისა და სამინისტროს იურისტის თანხლებით შეგვხვდა. ამ საქმიანმა ვითარებამ ჩემში, ცხადია, დადებითი ემოცია გამოიწვია, მაგრამ, სამწუხაროდ, მას სასურველი შედეგი ჯერჯერობით არ მოჰყოლია.

– რამდენადაც მერიის არქიტექტურის სამსახურის თქვენდამი მოწერილ პასუხს გავეცანი, იქ ლაპარაკია იმაზე, რომ საპროექტო შენობა „დეტალებითაა გადატვირთული“. განა ასეთი საოცრება რა ხდება?

– ზოგადად თუ ვიტყვით, არქიტექტურა – ესაა ერთდროულად ფილოსოფიაც, მეცნიერებაც და ხელოვნებაც. მსგავსი კომპლექსური შეხამება კაცობრიობის აზროვნების არც ერთ სხვა სფეროში არ არის. ჩემი პროტესტი და აღშფოთება კი იმან გამოიწვია, რომ გარკვეულ პირთა ჯგუფმა არქიტექტურა სრულიად არაარგუმენტირებულად, მხოლოდ საკუთარი კერძო გემოვნებით შეაფასა, რაც სრულიად დაუშვებელია! საბედნიეროდ, კაცობრიობამ არ იცის ასეთი ფაქტები, წინააღმდეგ შემთხვევაში არქიტექტურაში ყველაფერი რაღაც სტანდარტული ფორმით იარსებებდა, არ გვექნებოდა არც პარიზი, არც ვენეცია, არდ ლონდონი, არც ბარსელონა და არც ბევრი სხვა სილამაზით განთქმული ქალაქი, ყველგან ისეთი გეტოების მსგავსი დასახლებები იქნებოდა, როგორებიც სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენს ლტოლვილებს ავუშენეთ, სადაც კანალიზაცია და წყალი კი არის, მაგრამ არქიტექტურის ნასახიც არ არსებობს.

არქიტექტურა – ესაა ხელოვნურად შექმნილი გარემო, რომელიც ადამიანის ფსიქიკას, ყოველდღიურ ყოფას, საზოგადოებრივ ქცევასა და კიდევ უამრავ სხვა რამეს აყალიბებს. მაინც რატომ მივისწრაფით ასე მაღალი კულტურის მატარებელი გარემოს შესაქმნელად? რატომ გვიხარია მსოფლიოს უმშვენიერეს ქალაქებში, ანუ იმ ადგილებში ჩასვლა, სადაც არქიტექტურული გარემო წარსული ეპოქების სულსა და გულს, შესაძლებლობებს, გნებავთ, სუნთქვას ხატავს? გულს რატომ გვიხარებს ისტორიული თბილისი? რატომ მოილტვის ჩვენთან უარმავი უცხოელი სტუმარი, სხვა კულტურის მატარებელი თუ რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანი? იმიტომ, რომ აქ ძალუმად ჟღერს, ხელით შესახებია იმ შესანიშნავი ჰარმონიის მქონე სიფმონია, რომელიც სხვადასხვა, ერთმანეთისგან დიდად განსხვავებული ინსტრუმენტის ჰანგებითაა შექმნილი. ეს სიმფონია კი, რომელსაც წარმოსახვითი ორკესტრი ასრულებს, არა ერთი – მრავალი სხვადასხვა შემოქმედის ნააზრევს წარმოადგენს. ამდენად, არავის აქვს იმის უფლება, რომ საკუთარი გემოვნებისდა მიხედვით გზა გაუხსნას, ან, პირიქით, დაუხშოს ხელოვნების სათავეს. არქიტექტურაში მოქმედებს წესი, რომელიც ხელოვნების სხვა დარგებში არ მუშაობს: აქ არსებობს ცნება „პროპორცია“, რითმი, გარემოს შესაფერისი ზომა-წონა და ნაგებობის მაფორმირებელი ფონი. სწორედ ამ კატეგორიებით უნდა იხელმძღვანელოს არქიტექტორმა, როცა რაიმე შენობას აპროექტებს.

ისიც მინდა გითხრათ, რომ წლების განმავლობაში თავადაც ვიყავი თბილისის სახელოვან მთავარ არქიტექტორებთან – შოთა ყავლაშვილთან და ივანე ჩხენკელთან არსებული საბჭოების წევრი. იმ უმძიმეს დროში თბილისში აშენდა სპორტის სასახლე, გზების სამინისტროს უნიკალური შენობა, მაშინ დაიწყო დედაქალაქის ისტორიული ნაწილის აღდგენა-რესტავრაცია-რეგენერაცია. ამდენად, იმის გამოცდილება და ცოდნა, თუ როგორ უნდა წარიმართოს დარგის საქმიანობა, როგორ უნდა მიეცეს გზა ღირსეულ ნაგებობებს, ნამდვილად მაქვს.



– ბატონო გიგა, მერიის არქიტექტურის სამსახურიდან უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ, თქვენ უარს ამბობთ პროექტში შესწორებათა შეტანაზე, სულაც აღარ აპირებთ ბრძოლას შენობის თქვენი ესკიზით აგებაზე, მაშინ რა არის თქვენი მიზანი, რაღა აზრი აქვს ამდენი სხვადასხვა ინსტანციის წარმომადგენლებთან ერთი შეხედვით არაფრის მომტანი ურთიერთობის მცდელობას?

– ჩემი სურვილია ის ახალგაზრდა არქიტექტორებიც, რომელთა პასუხისმგებლობით მომავალში უამრავი რამ უნდა შეიქმნას, ასევე უფროსი თაობის დამსახურებული არქიტექტორებიც, რომლებიც დღესდღეობითაც ჩემს გვერდით მოღვაწეობენ, ხვალ და ზეგ ასე თავის ნებაზე არ აბურთაონ ნაირ-ნაირ სავარძლებში მოკალათებულმა არქიტექტურის უვიცმა ჩინოსნებმა.

პირდაპირ გეტყვით: მე, უბრალოდ, ვერ გამიბედეს ამის დაწერა, თორემ სხვა არქიტექტორებს რას უკეთებენ, იცით? ასე ეუბნებიან – შენი ფასადი მოსაწონი არ არის, ამიტომ პროექტის ეს ნაწილი მოდი, ამას და ამას გააკეთებინეო... არადა, თავად ამ ხალხის ნახელავი ახლაც „ამჩნევია“ თბილისს – გნებავთ ავლაბარში პრეზიდენტის რეზიდენციის გაგრძელებაზე „ეტაჟერკებივით“ ჩამწკრივებული საშინელებებით, გნებავთ, შარდენის ქუჩის დასაწყისში ჩემს მიერ დაპროექტებული სახლის თავზე დაუკითხავად რაღაც ნაწილის დაშენებით, რაც სხვა თუ არაფერი, პირდაპირი შეურაცხყოფაა – მე ხომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ! ან თუნდაც, რ. თაბუკაშვილის ქუჩაზე ქალაქის ცენტრის კომპოზიციიდან სრულიად ამოვარდნილი სასტუმრო „მილენიუმის“ შენობა აიღეთ, განა კონკრეტული ნაგებობის ადგილსამყოფელსა და ზომას მნიშვნელობა არა აქვს?! ეს ხომ პროფესიული უტაქტობაცაა და თავხედობაც!

ეს არ არის ჩვეულებრივი, რიგითი მოვლენა, ვინაიდან არქიტექტურა – ესაა ეროვნული ღირსების საკითხი. როცა იმით ვამაყობთ, რომ ჩვენს დრომდე მოღწეული საუკუნეთა წიაღგამოვლილი უძველესი კულტურის შემქმნელთა შთამომავლები ვართ, თითოეულმა ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ და თუკი ბუნებამ რაიმე ნიჭი მოგვცა, სრულად დავხარჯოთ ქვეყნის სასარგებლოდ და ამ გზაზე მავანს ფეხი არ უნდა დავადებინოთ!

კარგად მესმის, რომ საქმით გადატვირთულ ამა თუ იმ თანამდებობის პირმა რაიმე კონკრეტული საკითხისადმი სათანადო ყურადღების მიქცევა შეიძლება ვერ შეძლოს, მაგრამ ის მაინც ხომ უნდა იცოდეს, თუ ვინ უნდა ამოიყენოს გვერდით, გარკვეულ სფეროში კონსულტაცია და რჩევა ვისგან უნდა მიიღოს?!

მერიის ეს სამსახური სტრუქტურულად არასწორადაა შექმნილი, ერთიანად დასაშლელია. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მის სათავეში დარგის გამორჩეული სპეციალისტი არ იდგეს, იმიტომ, რომ იგი არა მარტო არქირტექტურის, არამედ დედაქალაქისა და მთელი ქვეყნის კულტურული ქმედებების კამერტონი უნდა იყოს. ახლა რაც შეეხება ქალაქის არქიტექტურის სამსახურს: დღესდღეობით საუკეთესო შემთხვევაში მისი ხელმძღვანელი უნდა ითავსებდეს ვიცე-მერის თანამდებობას, თავში ედგას არქიტექტურულ საბჭოს და ქალაქის გენგეგმაზე მომუშავე სპეციალისტებს.

მინდა მივმართო თბილისის მომავალ მერს, ვინც გნებავთ იყოს იგი: ხომ იცით, რომ ყველაფერი წარმავალია, გარდა ეროვნული ღირებულებებისა, გარდა ეროვნული კულტურისა. ზოგადად, დედაქალაქის მერი შემომქედი პიროვნება უნდა იყოს, დახვეწილი აზროვნებისა და ასეთივე მოქცევის კაცი. იმედი მაქვს, რომ მომავალი მერი ასეთი ადამიანი იქნება, რაც თავისი მოქმედებებით უნდა დაამტკიცოს.

ჩემი ცხოვრების მანძილზე თბილისის 14 მერს მოვესწარი, მათ შორის უაღრესად გამორჩეული პიროვნებები იყვნენ, რომლებმაც ურთულეს დროში ქალაქი შეინარჩუნეს და ისეთებიც, რომელთა სახელები დღეს აღარავის ახსოვს. იგივეს თქმა შეიძლება თბილისის 17 ყოფილ მთავარ არქიტექტორზე, რომელთა შორის გამორჩეულები ბრძანდებოდნენ ზაქარია ქურდიანი, ივანე ჩხენკელი, შოთა ყავლაშვილი.

ბოლოს კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ჩემი მცდელობის საბოლოო მიზანი მხოლოდ დარგში შექმნილი უაღრესად არახელსაყრელი ვითარების შეძლებისდაგვარად გამოსწორებაა, რაც გაბატონებული უმეცრების პირდაპირი შედეგია.

ხოლო რაც შეეხება თბილისის განვითარების, მიწათსარგებლობის გეგმას – გენგეგმას, დაველოდოთ მის გასაჯაროებას და მის ავ-კარგზე შემდეგ ვიმსჯელოთ.

ესაუბრა
ოთარ ტურაგელიძე

გატაცება თბილისის ცენტრიდან

თბილისის ცენტრიდან გატაცებული სამშენებლო კომპანია „სვეტის“ დამფუძნებელი გივი ჯიბლაძე იყო, მას დაპირისპირება ზურაბ წერეთლის კომპანიის წარმომადგენლებთან ჰქონდა. ამის შესახებ ინფორმაციას „რუსთავი-2“ ავრცელებს. გამტაცებლები მას ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით კონკრეტულ თანხას სძალავდნენ.

გივი ჯიბლაძე ყვება, რომ სახლიდან გამოსვლის დროს გაიტაცეს. ბიზნესმენი ამბობს, რომ 4 გამტაცებელი მიკროავტობუსით გადაადგილდებოდა, რომლებმაც თავზე ტომარა ჩამოაცვეს და ერთ-ერთ ავტოსადგომზე გადაიყვანეს.

ჯიბლაძის თქმით, გატაცებას წინ უძღოდა დაპირისპირება მოქანდაკე ზურაბ წერეთლის კომპანიის წარმომადგენლებთან. ჯიბლაძე ვარაუდობს, რომ სწორედ ამ კომპანიასთან დაკავშირებულმა პირებმა გაიტაცეს, თუმცა ბიზნესმენი ამბობს, რომ თავად ზურაბ წერეთელი არ იყო ამ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმირებული.

გივი ჯიბლაძის ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინათ მის კაბინეტში სროლა იყო. სავარაუდო გამტაცებლები სამართალდამცველებმა სპეცოპერაციის შედეგად დაიკავეს. სამმართველოს უფროსის მიხეილ ძაგნიძის თქმით 4 პირი გამოძალვისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით დააკავეს. ისინი ბიზნესმენს 150 ათას დოლარს სძალავდნენ და 200 კვ.მ ფართის მათზე გადაფორმებას სთხოვდნენ.

◎ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ

ᲔᲠᲗᲘ ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

„ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ მეგონა, რომ ჩვეულებრივ ოჯახში დავიბადე, სადაც მამა, დედა, და, ბაბუა, ბებია, ბიძა, დეიდა, ბიძაშვილები და ის მეგობრები ცხოვრობდნენ, რომელთა შორისაც ზოგიერთი მოგვიანებით ჩემი ნათლიმამა და ნათლიდედები გახდნენ. თუმცა, რაც უფრო ვიზრდებოდი, ვაცნობიერებდი, რომ ჩვენი ოჯახი სხვებისას არ ჰგავდა.

დავიწყოთ იქიდან, რომ მიუხედავად ჩვენი ქართველობისა... მიუხედავად იმისა, რომ ვსაუბრობდით, ვსადილობდით, ვმღეროდით და ვცეკვავდით ქართულად, ჩვენ საქართველოში კი არა, საფრანგეთში ვცხოვრობდით, დედასამშობლოსგან შორს. საფრანგეთმა მიგვიღო, მე იქ დავიბადე, მაგრამ ურთიერთობა ძირითადად ჩვენს თანამემამულეებთან გვქონდა“.

ასე იწყებს თავისი მოგონებების წიგნს **„ერთი უჩვეულო ოჯახი“ ქრისტინე ფაღავა ბულეზი**. ემიგრანტული ლიტერატურის მკითხველისთვის გასაკვირი არცაა ის დიდი ნოსტალგია, ტკივილი, უჩვეულო თავგადასავლები, რომელსაც ემიგრანტები თავიანთ მემუარებში, ჩანაწერებში, პირად წერილებში ასახავენ. დარდი შორს დარჩენილ სამშობლოზე, ნათესავებზე, წინაპართა საფლავებზე, ფიქრი თუ როდის ექნებათ შესაძლებლობა კიდევ ერთხელ დაადგან ფეხი მშობლიურ მიწას. ბევრი მათგანისათვის ეს ოცნებად დარჩა, მათ განსასვენებელი უცხო მიწაზე ჰპოვეს ერთი მუჭა მშობლიური მიწით მიყრილ საფლავებში. ცოტა მათგანს აუსრულდა ოცნება, სწვეოდა სამშობლოს, უკვე მოხუცი, ფიქრსა და დარდში გატეხილი ჯანმრთელობით და სამწუხაროდ, სიცოცხლის ბოლოს. უმეტესობას სამშობლოზე წარმოდგენა მხოლოდ უფროსთა მოგონებებითა და ტკბილი ზღაპარივით მონათხრობით დარჩა წარმოსახვაში. ყველა ემიგრანტი ოჯახის ისტორია, რომლებსაც სამშობლოს დატოვება გასული საუკუნის ოციან წლებში მოუხდათ, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა და ბოლშევიკური ტერორის ქვეშ მოექცა, ერთმანეთს ჰგავს. ქრისტინე ფაღავა ბულეზის მოგონებები განსხვავებულია სხვათაგან, მხოლოდ იმით, რომ იგი დამოუკიდებელი საქართველოს პირველი თავკაცის **ნოე ჟორდანიას** შვილიშვილი გახლავთ. თავად წერს: „ოჯახი, რომელიც ბავშვობაში ასე ბუნებრივი და უბრალო მეჩვენებოდა, სულაც არ იყო ჩვეულებრივი. ამას თავადაც კარგად მიხვდებით, როდესაც ჩემი ცხოვრების იმ ეპიზოდებს გაეცნობით, რომელთა მოწმე და მონაწილე ერთდროულად გახლდით“.

ქრისტინე ფაღავა ბულეზი გახლავთ ნოე ჟორდანიას ასულის ასმათ ჟორდანიასა და ლევან ფაღავას ქალიშვილი, იგი 2003 წელს ეწვია პირველად სამშობლოს, წიგნი, რომელიც გამომცემლობა **„არტანუჯმა“** წლეულს გამოსცა, ავტორის თქმით ბიძამისის **რეჯებ ჟორდანიას** შთაგონებით დაწერა, ხოლო **ბუბა კუდავა,** შესანიშნავი ქართველი ისტორიკოსი გახლდათ პირველი, რომელიც ამ მოგონებებით დაინტერესდა და ავტორს შესთავაზა მისი ქართულ ენაზე გამოცემა. წიგნს დართული აქვს 1801-1953 წლების ისტორიულ მოვლენათა ნუსხა და მდიდარი ფოტომასალა საოჯახო არქივიდან.

ქრისტინე ფაღავა ბულები პარიზში ცხოვრობს, იგი 1998-2010 წლებში ლევილის მამულის მმართველი გახლდათ.

ᲤᲡᲙᲔᲠᲖᲔ ᲙᲔᲜᲭᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲛᲝᲔᲚᲕᲐᲠᲔ ᲜᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ᲐᲛ პატარა მოთხრობების კრებულს **„რომ ჩახედავ მორევს — ფსკერზე კენჭები ჩანს...“** ჰქვია და **„ინტელექტმა“** მიაწოდა მკითხველს. ასზე მეტი მოთხრობაა გაერთიანებული, ერთი სულით გაჟღენთილი, ერთი ამოსუნთქვით წასაკითხი და ჩასაფიქრებელი. კითხულობ და ფიქრობ — იქნებ დაზარებოდა **იოსებ ომაძეს** ბავშვობის, სიჭაბუკის, მოწიფულობის დროის ამბების გახსენება, მედღემეხვალიე კაცივით გადაედო იმაში დარწმუნებულს — ამას რა დამავიწყებს, ხვალეც ამ წლის არ არისო და მიეყურთბალიშებინა. სხვისი არ ვიცი და მე ბევრს დავკარგავდი. დავკარგავდი ჯერ იმით, რომ ამ კარგ მწერალს ვერ გავიცნობდი, ვერ გავიცნობდი მის გმირებს, მის მეგობრებს, სევდიან თუ მხიარულ ისტორიებს, სულისშემძვრელ მოგონებებს და ვერ შევიგრძნობდი, თითქოს შენც რომ იქა ხარ და თითქოს, დიდი ხანია, მოსმენილი გაქვს ესა თუ ის ამბავი, მოსმენილი კი არა შენც თანამონაწილე ხარ ყოველივესი. კითხულობ და თამამად დასეირნობ ავტორის სამყაროში მის ფიქრებთან ერთად, მის მეგობრებთან ერთად, მის დარდთან და ოცნებასთან ერთად და რაც მთავარია, თავს ზედმეტად არ გრძნობ.



ბევრს არ შეუძლია ასე თამამად გაზიაროს თავის სამყაროს, ეს ერთეულებს შეუძლიათ, რადგან შენი „მასტისა“ არიან, შენს სულში სხედან და როგორც თავის საფიქრალის კიდობნის კარს გიღებენ თამამად, ასევე თამამად შეუძლიათ, შენი განცდებიც გაიგონ.

წესად მაქვს, ახლადშეძენილ წიგნს, რომ ავიღებ ხელში ან წინასიტყვაობას გადავხედავ, ანდაც სარჩევს. ამ წიგნს წინასიტყვაობა არ ახლავს, არც გამომცემლისა და არც ავტორისა, ესე იგი თამამად, სხვათა აზრების თავსმოუხვევლად შეგიძლიათ, მიჰყვეთ მწერლის ნაზრევს. სარჩევი? აქ მართლაც ასარჩევად გაქვთ საქმე და მეც ვიწყებ ჯერ თითოგვერდიანი ნოველებით, შემდეგ ცოტა მოზრდილებით და სულმოუთქმელად ვკითხულობ მთელ წიგნს. მე მომწონს, გავითავისე, ჯერი სხვაზეა.

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ

ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲚᲐ�პᲠᲘᲡ „ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘ“

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲛᲐ პატარისთვის ღამით წასაკითხი ზღაპრის იდეალური ფორმულა გამოიყვანეს.

დიდი ბრიტანეთის სპეციალისტების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის ფარგლებში ორი ათასმა მშობელმა ბავშვებს ძილის წინ ზღაპრები წაუკითხა, რა დროსაც მკვლევარები იმ დროს აფიქსირებდნენ, რაც მათ დაძინებას სჭირდებოდა.

აღმოაჩნდა, რომ **იდეალური ზღაპარი 8,5 წუთი უნდა გრძელდებოდეს**. თანაც, ბავშვებს ძალიან მოსწონთ, როცა მშობელი ზღაპარს გმირების „ხმით“ უკითხავს. ყოველი მესამე ბავშვი ზღაპარს არ აღიქვამდა, თუკი მასში გველეშაპი არ იყო, კიდევ ერთ მესამედს ისინი არ მოსწონდა, თუკი მასში გმირები ფერიები და ჯადოსნები არ იყვნენ. გარდა ამისა, კიდევ 17 პროცენტს არ უყვარს, როცა ზღაპარში რომელიმე სქესის უფლისწული არ მონაწილეობს. ასევე ბავშვების 30 პროცენტს აუცილებლად უნდა, რომ მოქმედება ციხე-დარბაზში ხდებოდეს, 18 პროცენტს კი მოსწონს, როცა მოვლენები ჯადოსნურ ქვეყანაში ვითარდება.

ყოველი მეხუთე პატარის აზრით, ზღაპრის მთავარი გმირი ცხენით უნდა დადიოდეს, 14 პროცენტს „გადაადგილების საშუალებად“ მფრინავი მანქანა ურჩევნია, 9 პროცენტს კი ასეთად მფრინავი ხალიჩა მიაჩნია.

„ᲛᲝᲬᲧᲔᲜᲘᲡ“ ᲙᲐᲢᲐᲚᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ

ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ მზიანი და სიხარულით აღსავსე ხანაა ადამიანის ცხოვრებაში, თამაშ-გართობითა და სიცილ-კისკისით აღსავსე, თუმცა კი მეცნიერები ერთ უცნაურობას აღნიშნავენ: ამერიკელ ფსიქოლოგთა დაკვირვებით, ჩუმი, მორიდებული, მოწყენილი ბავშვები თავიანთ ჟრიამულიან, მოუსვენარ და მხიარულ თანატოლებთან შედარებით, უფრო მახვილი გონებით და ათვისების უკეთესი უნარით გამოირჩევიან.

მკვლევარებმა სხვადასხვა ასაკის ბავშვებზე დაკვირვება ჩაატარეს და გამოიტანეს დასკვნა, რომ მელანქოლიური ტიპის, ანუ უფრო ხშირად მოწყენილი მოსწავლეები ცოდნას, ზოგადად ინფორმაციას, უფრო ადვილად ითვისებენ და, განსხვავებული ტემპერამენტის მქონე თანატოლებთან შედარებით, კონკრეტული საგნების შესწავლაზე მეტად არიან კონცენტრირებულნი.

მეცნიერები ამ ერთი შეხედვით უცნაურ გარემოებას ასე ხსნიან: დადებითი ემოციები ნაკლებად უწყობს ხელს თავის ტვინს ინფორმაციის სრულფასოვნად ათვისებაში. მოწყენილობის განცდა კი ტვინში შეტყობინებას აგზავნის, რომ ხილულ გარემოში რაღაც ყურადღების ღირსი, საინტერესო, უწინდელისგან განსხვავებული რამ ხდება, რაზეც ყურადღების გამახვილებაა საჭირო. ამ დროს უჯრედებში ნეირონების გააქტიურება ხდება, მატულობს დეტალებზე კონცენტრაცია და ტვინი ინფორმაციის ანალიზსა და დამუშავებას იწყებს.

აქედან გამომდინარე, იმის დასკვნა, რომ ბავშვები სულ მოწყენილები უნდა იყვნენ, ცხადია, სრული აბსურდია. პირიქით, კარგი გუნება-განწყობა, სიმხიარულე, უწინარესად, მათ შემოქმედებით უნარებს განავითარებს, თუმცა კი ისიცაა, რომ სწავლას გართობაზე მეტი ძალისხმევა, ყურადღება და გულისყური სჭირდება, ამიტომ „სერიოზული მოწყენა“ ამ დროს კარგი კატალიზატორია.

ᲜᲘᲜᲝ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ

ᲒᲔᲝ
ᲰᲝᲚᲓᲘᲜᲒᲘ

ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲮᲓᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲑᲐᲜᲙᲨᲘ.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ ან დაგვიკავშირდით:

ქ. თბილისი, გლდანი, ვეკუას ქ. №12 (მეტრო „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორია) ტელ: 557 575 323; 557 575 811

geo-holding.net

სამუშაო საათები:

ორშაბათ-პარასკევი: 10:00-დან 20.00 სთ-მდე

შაბათი-კვირა: 11:00-დან 18:00 სთ-მდე.

◎ ეს ტრიუმფია საქართველოსი!

„ოქროს“ გოგონა თეოდორა

ჩვენმა ქვეყანამ ფარიკაობაში მრავალი ტიტულოვანი სპორტსმენი აღზარდა — ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები, მსოფლიოს პირველობების ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსნები, ახალგაზრდებში ევროპის სამგზის გამარჯვებულიც გვყავს, მაგრამ ყველანი - ვაჟთა შორის. მანდილოსნებში ასეთი სახელოვანი მუშკეტერი არასდროს გამოგვრევია და აი, ეს დანაკლისიც შეივსო — ქართველი მოხმალავე ქალი თეოდორა კახიანი ევროპის ჩემპიონატის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. დიღომში, ტანვარჯიშის სასახლეში, სადაც მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს, შესანიშნავად იასპარეზა კახიანმა - ჯგუფში ხუთიდან ოთხი ორთაბრძოლა მოიგო: ზედიზედ დააყრევინა ფარ-ხმალი ანა-სოფი ქინდლერს (გერმანია, 5:2), სევილ ბუნიატოვას (აზერბაიჯანი, 5:3), მარტინა კომირჟიკს (პოლონეთი 5:1), ბიანკა პასკუს (რუმინეთი, 5:4) და მხოლოდ ირინე ვეჩნისთან (იტალია, 1:5) დათმო პაექრობა. თეოდორამ ტრიუმფალური სვლა პლეი-ოფშიც განაგრძო — ჯერ აზერბაიჯანელი სევინჯ ბუნიატოვა (15:10), შემდეგ კი უნგრელი რენატა კატონა (15:13) და იტალიელი ლორეტა გულოტა (15:13) დაჯაბნა, ნახევარფინალში უნგრელი ლიზა პუშტაი ჩამოიშორა გზიდან — 15:12, ფინალში როსელა გრეგორიო (იტალია) დაამარცხა — 15:8 და ევროპის ჩემპიონი გახდა. მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, როსელა გრეგორიომ (იტალია), ლიზა პუშტაიმ (უნგრეთი) და ბიანკა პასკუმ (რუმინეთი) დაიკავეს.

ასპარეზობის პირველ დღეს, კახიანის გარდა, კიდევ შვიდი ქართველი გავიდა საფარიკაო ბილიკებზე, მაგრამ კვარცხლბეკს ვერავინ მიუახლოვდა: მოხმალავე ქალთა ჯგუფურ ეტაპზე ლიკა ჯიჯეიშვილმა ექვსიდან ოთხ მეტოქეს სძლია და პლეი-ოფში გააღწია, მაგრამ იქ რუს სოფია პოზდნიაკოვას ვერ გასცდა - 6:15. რაც შეეხებათ დარია ანტონოვას და ანა აფრასიძეს, მათ ჯგუფში ექვსივე შეხვედრა დათმეს.

რაპირით მოფარიკავე ვაჟებში ლუკა ღაღანიძემ ჯგუფში ოთხი მოგებითა და ორი წაგებით პლეი-ოფში გამოსვლის უფლება კი მოიპოვა, მაგრამ იქ უნგრელ მატე ჰარისთან დამარცხდა — 11:15. ლაშა გალუაშვილი ორი, არჩილ უგულავა და სანდრო სიხარულიძე კი თითო მოგებით ორმოცდაათეულში ვერ მოხვდნენ. კვარცხლბეკზე ადგილები ასე განაწილდა: 1. დანიელე გაროზო (იტალია), 2. თემურ საფინი (რუსეთი), 3. ჯორჯო ავილა (იტალია) და ჟერემი კადოტო (საფრანგეთი).

ლაშა დიდია



ჩვენ კალათბურთში ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებით ვამაყობთ; 55 წლის წინათ თბილისის „დინამომ“ ჩემპიონთა თასიც მოიპოვა, როცა ჯერ ორივე ნახევარფინალურ მატჩში დასცა მრისხანე ცსკა, ხოლო შემდეგ სატიტულო ბრძოლა თვით მადრიდის „რეალთან“ დასრულა ძლევაი საკვირველით.

და მაინც, გუშინდელ მოვლენას განსაკუთრებული ხიბლი ახლავს თან — ზაზა ფაჩულია პირველი ქართველია, ვინც ნბა-ს ჩემპიონის ოქროს ბეჭედს დაეუფლა!

ობლობაში დავაჟკაცებული 3 შვილის გმირი მამა, სამაგალითო მეოჯახე და ეროვნული ნაკრების 32 წლის კაპიტანი შთამბეჭდავ კარიერულ ბილიკს აზია-ევროპის გზაგასაყრელიდან შეუყვა, როცა ჯერ კიდევ ჭაბუკმა სტამბოლის „ულქერის“ მაისურით გაუსინჯა გემო წარმატებებს.

პირველი მწვრთნელის ზურაბ სამხარაძის საყვარელი შეგირდის სპორტულ ბიოგრაფიაში ახალი ფურცელი 2003-2004 წლების სეზონიდან გადაიშალა, როცა „ჯვაროსანთა“ ცენტრალური თავდამსხმელი ოკეანის გაღმა, კალათბურთის მექაში გადაბარგდა.

ჩვენი თანამემამულენი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მანამდეც

13 ივნისი - დღეზაზნაული

თამაშობდნენ და შემდეგაც (ვლადიმერ სტეფანია, ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, თორნიკე შენგელია), მაგრამ ყველაზე დიდხანს და, რაც მთავარია, ძარღვიანად, იქაურ ჯოჯოხეთურ გრაფიკს სწორედ შესაშური ფიზიკური და ფსიქოლოგიური ღირსებებით შემკული ფაჩულია მოერგო.

„ორლანდო“, „მილუოკი“, „ატლანტა“, „დალასი“ და, ბოლოს, „გოლდენ სტეიტი“ — აი, ასეთია იმ კლუბების ნუსხა, რომელთა შემადგენლობაშიც ზაზას ტალანტი იფურჩქნებოდა.

აღსანიშნავია, რომ ამ ალალი, მაგრამ ამავე დროს ემოციური პიროვნებისათვის ფული უპირველესი არასდროს ყოფილა, რაც შარშანდელი ნაბიჯითაც დაადასტურა, როცა ოკლენდურ გრანდს თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა და ნბა-ს ყოფილ ჩემპიონთან და მოქმედ ფინალისტთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

თუმცა, გადასვლასაც გააჩნია — ზაზა ფაჩულიამ დებიუტიდანვე დაიმკვიდრა ადგილი იმ სასტარტო ხუთეულში, სადაც სტეფ კარი, კლეი ტომპსონი, დრეიმონდ გრინი და წლევანდელი პლეი-ოფების MVP, სტივ კერის უძლეველი არმადის კიდევ ერთი შარშანდელი შენაძენი კევინ დიურანტი ბრწყინავენ. დაგვეთანხმებით, მრავლისმეტყველი ფაქტია. ვულოცავთ!

„გოლდენ სტეიტი — „კლივლენდი“ 129:120 (სერიის ანგარიში 4:1).

და ბოლოს: ზემოთ უკვე ითქვა, რომ ჩვენებურთა პირველი საკლუბო ტრიუმფიც ივნისში გამოიჭედა. ასე რომ, მკათათვე უკვე ორგზის სათაყვანებელია ქართული კალათბურთის გულშემატკივართათვის.

სხვათა შორის, აწი მაინც დავფიქრდეს, ვიდრე რიცხვ 13-ს ნავსიანს ვუწოდებდეთ. ყოველ შემთხვევაში, სპორტულ სამყაროსთან მიმართებაში მაინც. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმაც ხომ 1981 წლის 13 მაისი გვიქციეს დღესასწაულად.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ კარატე

წინილებს ზაფხულშიც ითვლიან

კარგა ხანია აღარაფერი გვითქვამს ქართველ კარატისტთა ნაკაიკაცარზე და შეიძლება გულშემატკივართა ნაწილმა იფიქრა კიდეც, რომ მათ სატრაბახო არაფერი აქვთ. არადა, მასე სულაც არაა საქმე — უფრო პირიქით! ქვემოთ გთავაზობთ სეზონის პირველ ნახევარში ჩვენს თანამემამულეთა მიერ საერთაშორისო სარბიელზე მოპოვებულ წარმატებათა ნუსხის ნაწილს. ვიმედოვნებთ, წლის ბოლომდე ისინი კიდევ არაერთხელ გაგვახარებენ.

შიაულიაი (ლიტვა). ბალტიისპირეთის ტრადიციული XVII საერთაშორისო ჩემპიონატი. ორგანიზატორი — ლიტვის კარატეს ასოციაცია (პრეზიდენტი — ვიდმანტას ბუტნორიუსი). მონაწილეობდა 15 ქვეყნის 1000-ზე მეტი წარმომადგენელი. საქართველოს შოტოკან კარატე დოს კონფედერაციის უფროსი ინსტრუქტორი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი,

მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი მზეჭაბუკ მახარაძე — „ბრინჯაო“ (უფროსი კატეგორიის ინდივიდუალური კატა).

ლიეჟი (ბელგია). მსოფლიოს გაერთიანებული კარატეს ფედერაციის (W.U.K.F.) ეგიდით გამართული ყოველწლიური საერთაშორისო ჩემპიონატი. 12 წლის დებიუტანტი გურამ იობაშვილი — „ვერცხლი“. მან 3 წრე გაიარა.

ლა ვალეტა (მალტა). „ა“ კლასის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი და ჩემპიონატი „მალტა ოუფენ“. ორგანიზატორები — დედაქალაქის მუნიციპალიტეტი და მსოფლიოს გაერთიანებული კარატეს ფედერაცია (W.U.K.F.). მზეჭაბუკ მახარაძე — „ბრინჯაო“ (უფროს კატეგორიაში ინდივიდუალური კატა).

ბათუმი. სპორტკომპლექსი „ბაკო“. საერთაშორისო სემინარი და ჩემპიონატი. ორგანიზატორები — მსოფლიოს შოტოკან კარატე დოს ფედერაცია (უფროსი ინსტრუქტორი — ჰიტოში კასუია, VIII დანი, იაპონია). მონაწილეობდა 10 ქვეყნის 300-მდე მოზარდი და ჭაბუკი. გაეცანით საქართველოს შოტოკან კარატე დოს კონფედერაციის ნაკრები გუნდის წევრთა შედეგებს.

6-7 წელი. კუმიტე. ბიჭები. III ადგილი. ლუკა კერესელიძე, ირაკლი ხაჩატუროვი. **8-9 წელი. ინდივიდუალური კატა, ბიჭები.** I ადგილი უტა ყარმაზანაშვილი. III ადგილი. გიგა გვაგვალია. **8-9 წელი. ბიჭები. კუმიტე. II ადგილი.** გიგა გვაგვალია — 40 კგ. **10-11 წელი. ინდივიდუალური კუმიტე. ბიჭები. II ადგილი.** სანდრო ქობუზაშვილი — 45 კგ, **12-13 წელი. კატა. ბიჭები. I ადგილი.** ანდრია კარბაია. **III ადგილი.** გურამ იობაშვილი. **12-13 წელი. კუმიტე. ბიჭები. III ადგილი.** ანდრია კარბაია (45 კგ. **14- 15 წელი. ინდივიდუალური კატა. ბიჭები. III ადგილი.** ირაკლი ხოჭავა. **14-15 წელი .ინდივიდუალური კუმიტე. ბიჭები. III ადგილი.** ირაკლი ხოჭავა — 65 კგ. **16-17 წელი. ინდივიდუალური კატა, ბიჭები. III ადგილი** ირაკლი ხოჭავა. **16- 17 წელი ინდივიდუალური კუმიტე. ბიჭები. I ადგილი.** თენგიზ მაზმიშვილი, **აბსოლუტური წონა. გუნდური კატა. III ადგილი** (თენგიზ მაზმიშვილი, ირაკლი ხოჭავა, ანდრია კარბაია).

კოზა კოზახიძე

◎ თაოზა

ქართული დუბლი

მაშინ, როცა უფროსი „ჯვაროსნები“ გვანერვიულებენ, ჭაბუკმა ქართველმა ფეხბურთელებმა სამეზობლოში გამართული ერთბაშად ორი პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი მოიგეს.

ნალჩიკი. ალექსანდრე აფშევის მემორიალი. თბილისის „დინამო“ 1964 წლის ტაშკენტური ტრიუმფის ყაბარდოელი მონაწილის სახელობის ხსოვნის ტურნირის მთავარი პრიზი შარშან ვალერი გაგუას გაწვრთნილმა „საბურთალოს“ 2003 წელს დაბადებულთა გუნდმა მოიპოვა. წლეულს უკვე ამავე კლუბის 2004-წლიანთა წარმატების ჯერი დადგა, რომელთა თავკაციც გიორგი ღამბაშიძეა.

ჯგუფური რაუნდი. „საბურთალო“ — ნალჩიკის „სპარტაკი“ 3:0 (ბერია, გოცირიძე, გოგნაძე), „საბურთალო“ — ვოლგოგრადის „ზენიტი“ 14:0(!) (გოცირიძე — 5, გუჯეჯიანი — 5, მამულაშვილი, წულუკიძე, წოწორია, გოჩიაშვილი), „საბურთალო“ — ვლადიკავკაზის „იუნოსტი“ 1:1 (მამულაშვილი), „საბურთალო“ — „ასტრახანი“ 2:0 (მამულაშვილი, გუჯეჯიანი). **ნახევარფინალი.** „საბურთალო“ — მახაჩყალის „ანჟი“ 1:1 (გუჯეჯიანი). **ფინალი.** „საბურთალო“ — ნალჩიკის „სპარტაკი“ 1:1 (წულუკიძე). ჩვენმა გუნდმა ორივე მატჩი პენალტების სერიაში მოიგო. **საუკეთესო მეკარე** — ვაჟა აბჟანდაძე; **საუკეთესო მოთამაშე** — ლუკა წულუკიძე; **საუკეთესო მწვრთნელი** — გიორგი ღამბაშიძე.

მახაჩყალა. კასპიის თასის გათამაშება.

ჯგუფური რაუნდი. თბილისის „დინამო“ (14-წლამდელები) — ბაქოს „ნეფთჩი“ 5:1)ბაბლუანი — 2, გაგნიძე, აბუაშვილი, სიჭინავა), „დინამო“ — მახაჩყალის „ანჟი“ 2:1 (აზაროვი, ხვადაგიანი), „დინამო“ — ვლადიკავკაზის „იუნოსტი“ 4:0 (ქემოკლიძე, იობაშვილი, სიჭინავა, იობაშვილი). **ნახევარფინალი.** „დინამო“ — „როსტოვი 1:0 (აბუაშვილი). **ფინალი.** „დინამო“ — „კრასნოდარი“ 2:1 (ფაილოძე, ბაბლუანი). **საუკეთესო მოთამაშე** — გიორგი აბუაშვილი.

დავძენთ, რომ დაღესტნის დედაქალაქში „თერთ-ლურჯებს“ ბორის გონჩაროვი ხელმძღვანელობდა.

გიორგი ზოთაძე

◎ ელამი სარკე

ყოჩაღი მამაძაღლები

მამუკა, ჩემი კურსელი მეგობარი, ბოლო არჩევნების შემდეგ აღარ შემხვედრია. ჩემი არ იყოს, ცოტა კი შებერებულა, მაგრამ მაინც ლომურად გამოიყურება.

— თუ ძმა ხარ, პოლიტიკაზე ნუღარ ვილაპარაკებთ, — მეუბნება ხელის ჩამორთმევისა და სალამ-ქალამის შემდეგ.

— რატომ, ძმაო, პოლიტიკაზე გული ასე რამ აგიცრუა?

— ყველაფერია ნალაპარაკევი და ამან ამიცრუა. „რუსთავი-2“-მა განა ვინმეს რამე დაგვიტოვა სალაპარაკო? ისე, კაცმა რომ თქვას, ვერც დაემდურები, მართალია, ჩათლახი, მაგრამ ამავე დროს ყოჩაღი მამაძაღლები არიან.

— რაო, ყოჩაღიო? აქებ, კაცო?

— ხომ გეუბნები, ყოჩაღი მამაძაღლები არიან. ინტრიგას ან შანტაჟს რომ ჩაიფიქრებენ, უმალ დატრიალდებიან და მონაჩმახ-მონაგონს ნამდვილ სპექტაკლად წარმოგიდგენენ. ასე წააბეს ევროპა-ამერიკის ლიბერასტები და საკუთარ ფანებად გაიხადეს.

— აბა კაცო, — დავეთანხმე, — მაგათ საქმეს აქაური სასამართლოები რომ თვეობით აჯანჯღლებდნენ, ხომ ნახე, სტრასბურგში ის თვალის დახამხამებაში მოაფიშფიშეს.

— არ მესმის, რაზე იკლავდნენ თავს ეს ჩვენი დაბალი და მაღალი ინსტანციის სასამართლოები, თუკი ამ საკითხის გადაწყვეტა რამდენიმე საათში შეიძლებოდა?

— მაგას არ გეუბნები. გაუგებარია, რისთვის ატეხეს ამხელა ვაიუშველებელი, როგორც ირკვევა, თურმე არაფრის გამო. აგე, სტრასბურგის სასამართლოში დილას რომ საჩივარი შევიდა, საღამოს უკვე, იქაური მორიგე მოსამართლის გადაწყვეტილებას ჩვენი უზენაესის განაჩენის აღსრულების შეჩერების თაობაზე, რუსთავორელები ტაშის გრიალით ზეიმობდნენ.

— ყოჩაღ, სტრასბურგო! აი, რას ნიშნავს ევროპული სამართალი და იქაურ მოსამართლეთა კაშკაშა პროფესიონალიზმი.

— ღმერთსა მადლი, რომ ასე იოლად გამოძვერით, თორემ ეს ჩვენი თავისუფალი სიტყვის მთავარსარდალი ნიკა გვარამია, ისე იყო გაცოფებული, რომ მილიარდერ ივანიშვილის მიერ ხელდასხმული „უქნარა ხელისუფლება“ დამხობას ნაღდად ვერ გადაურჩებოდა.

— ახლა ეგ გაყოყოჩებული გვარამია თურმე ჭყონდიდელ მიტროპოლიტ ცაავასაც აგულიანებს, გავარდი სტრასბურგში და ძველ თანამდებობაზე ეგრევე აღგადგენენო.

— რა თანამდებობაზე?

— არ გაგიგია? ეგ ხომ საპატრიარქოს ტელევიზიის ხელმძღვანელი გახლდათ. როგორც თვითონ აცხადებს, წმინდა სინოდმა მისი საქმე მიკერძოებულად განიხილა, ხელმძღვანელობიდან არასწორად გაათავისუფლა და სიტყვის თავისუფლებას საფრთხე შეუქმნა.

— მაგრამ საეჭვოა, რომ მაგის საქმე სტრასბურგმა მიიღოს, ეკლესია ხომ სახელმწიფოსგან გამოყოფილია.

— სახელმწიფოსგან არის გამოყოფილი, ჩემო კარგო, თორემ სტრასბურგისგან კი არა. იჩივლებს თუ არა, იქაური მოსამართლე სინოდის გადაწყვეტილებას ეგრევე მიაუქმებს.

— აგაშენა ღმერთმა, — წარბი გაშალა მამუკამ, — კიდევ კარგი შემხვდი, თორემ ამ ამბების შემყურეს, გული გახეთქვაზე მქონდა.

— გულზე გამახსენდა, ჩვენი საერთო ძმაკაცი ბორია ხომ გახსოვს?

— რა დაემართა?

— არაფერიც არ დაემართა, ამ ცოტა ხნის წინათ ლიბანში წავიდა.

— ხალიფატთან საბრძოლველად?

— არა კაცო, ბრძოლის თავი სადა აქვს, ხელოვნური გული უნდა ჩამოიტანოს.

— ვა, ლიბანში მედიცინა ასე განვითარდა?

— ახლა კი არა, იქ უძველესი დროიდან იყო განვითარებული. ამჯერად გულს თურმე მხოლოდ რეზინები და სარქველები შეუცვალეს. ესეც იმიტომ, რომ დინამიკურია და უხმაუროდ იმუშაოს.

— თუ იცი, ძვირი ჯდება?

— არც ისე, ადგილზე ათას დოლარად იყიდება, თანაც პირდაპირ აფთიაქებში.

— უყურე შენა? — გაიკვირვა მამუკამ, — ჩვენთან რომ იყოს, მინისტრის რეზოლუცია დასჭირდებოდა.

— არა კაცო, მინისტრი კი არა და ექიმიც არ დასჭირდება, გულსაც თურმე თვითონვე ჩაიყენებ.

— რო რამე შეგეშალოს?

— რა უნდა შეგეშალოს, ინსტრუქცია მოყვება. ეგ კი არა, თურმე შეგიძლია, შენი სურვილის მიხედვით, გული ღვინის, არყის ან სულაც ლუდის სმის განხრით დაიმონტაჟო.

— ამბობენ, ამერიკაში ტვინიც იყიდებაო, ოღონდ პიროვნებაზე კი არა, სახელისუფლებო და ოპოზიციურ გუნდებზეო, ანუ ისინი კოლექტიური, გუნდური ტვინები იქნება.

— მაგას რისთვის აკეთებენ?

— ერთმანეთის საპირისპირო აზრები რომ დაიზეპირონ, მაგრამ ამერიკის საწინააღმდეგო — არავითარ შემთხვევაში.

— რატომ გგონია?

— ხომ უყურებ, მთავრობა და საპარლამენტო უმრავლესობა დასავლეთის ჰანგზე სულ ერთსა და იმავეს ლაპარაკობენ, ოპოზიციაც, ოღონდ მათგან — საპირისპიროს.



— მაგათი პოზიცია გასაგებია, მაგრამ ხალხმა რა უნდა ქნას?

— არაფერი. ხალხს, ჯერ ერთი, მექანიკური ტვინის საყიდელი ფული არა აქვს, და მეორეც, ხალხი შემთხვევით ამერიკის საწინააღმდეგო პოზიციაზე რომ დადგეს, ხომ წარმოგიდგენია, ეს ჩვენი ეროვნული მთავრობა საით მოკურცხლავს?!

ოტია ჩართოლანი

ბუპრენორფინის კომბინირებული პრეპარატის მიმართ კონტროლი მკაცრდება

ჩანაცვლებით თერაპიაში გამოყენებული ბუპრენორფინის კომბინირებული პრეპარატის - ბუპრენორფინ-ნალოქსონის მიმართ კონტროლი მკაცრდება. ცვლილება „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ კანონით განსაზღვრული ბრუნვისთვის შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების ნუსხაში შედის.

ინიციატივა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ წარადგინა. აკაკი ზოიძის თქმით, ბუპრენორფინ-ნალოქსონის სამედიცინო დანიშნულების გარეშე მოხმარების საზოგადოებრივი საშიშროების გამო, მიზანშეწონილია, მის გამოყენებაზე უმოკლეს ვადაში დაწესდეს ბუპრენორფინის ანალოგიური კონტროლის ზომები.



„შემოდის იმ დანიშნულებით, რომ უნდა იყოს გამოყენებული ჩანაცვლებით თერაპიაში. ძირითადად გამოიყენება კერძო პუნქტებში, სადაც ეს ჩანაცვლებითი თერაპია წარმოებს. სიროფის ფორმით არ არის და ტაბლეტირებულის არადანიშნულებისამებრ გამოყენების საფრთხე საკმაოდ მაღალია. რადგან არ არის დაქვემდებარებული ამ კანონს, სამართალდამცავებს რეაგირება არ შეუძლიათ“, — განაცხადა აკაკი ზოიძემ.

მისივე თქმით, აღნიშნული ცვლილებების კანონმდებლობაში შეტანა ჯანდაცვის სამინისტროს თხოვნით არის ინიცირებული. კანონპროექტი საქართველოს პარლამენტში დაჩქარებული წესით განიხილება.

სანთელი

ბაბუხადია-გელოვანების საგვარეულო ღრმა მწუხარებით ვიუწყებით უახლოესი ნათესავის

უშანგი ილიას ძე ბაბუხადიას

გარდაცვალებას და სამძიმარს ვუცხადებთ მისი დიდი ოჯახისა და საახლობლოს ყველა წევრს.
დაკრძალვა 15 VI, სოფელი ილემი.

მეუღლე თამუნა სულაძე, შვილები ანა, გიორგი წერეთლები, მამა ვახტანგ წერეთელი, დედა დალი კობერიძე, დები რუსუდან, ანა წერეთლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლევან ვახტანგის ძე წერეთლის

გარდაცვალებას.
პანაშვიდი 13, 14 VI, მის. დოლიძის ქ. მე-13 კორპუსი, გამოსვენება 15 VI, 15 სთ. საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ეკლესიიდან.

მეუღლე თამუნა სულაძე, შვილები ანა, გიორგი წერეთლები, სიმამრი იური სულაძე, სიდედრი ინგა კალანდარიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლევან ვახტანგის ძე წერეთლის

გარდაცვალებას.

ბიძა ავთანდილ წერეთელი, ბიცოლა ნანა ხუნდაძე, ბიძაშვილი ვახტანგ წერეთელი, რძალი ქეთევან ჯაფარიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლევან ვახტანგის ძე წერეთლის

გარდაცვალებას.

ბიძა ზურაბ წერეთელი, ბიცოლა ელზა ჩხიკვიშვილი, ბიძაშვილები ნინო, ეკა წერეთლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლევან ვახტანგის ძე წერეთლის

გარდაცვალებას.

ბიცოლა ინა წერეთელი, ბიძაშვილები მაია, ივა წერეთლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლევან ვახტანგის ძე წერეთლის

გარდაცვალებას.

ბიძაშვილი ვახტანგ წერეთელი, რძალი ქეთევან ჯაფარიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლევან ვახტანგის ძე წერეთლის

გარდაცვალებას.

ხე-ტყის უკანონო მოპოვების ფაქტები

ეროვნული სატყეო სააგენტოს, იმერეთის სატყეო სამსახურის მიერ გეგმიური შემოწმებების შედეგად, ტყის მცველების მიერ, ხონი-წყალტუბოს სატყეო უბნის ტერიტორიაზე გამოვლენილ იქნა 38.88მ³ ხეტყის უკანონოდ მოპოვებისა და ტრანსპორტირების ფაქტი. ჯამში, მაისის თვეში, ეროვნული სატყეო სააგენტოს, რეგიონული სატყეო სამსახურების თანამშრომლების მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, გამოვლენილ იქნა სამართალდარღვევის 245 ფაქტი, მათ შორის — ადმინისტრაციული სამართალდარღვევის — 139, ხოლო სისხლის სამართლის — 106.

უკანონოდ მოპოვებული რესურსის მოცულობამ შეადგინა 1542,766 მ³. გარემოზე მიღებულმა ზიანის ოდენობამ — 171617,89 ლარი, მათ შორის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე — 26747,05 ლარი, სისხლის სამართლის საქმეებზე — 144870,842 ლარი.

სამართალდარღვევის 820 ფაქტი ერთ კვირაში

5-11 ივნისს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად, საგადასახადო სამართალდარღვევის 820 ფაქტი გამოვლინდა.

კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 8810 გადამხდელი, რის შედეგადაც დაფიქსირდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები: საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 86 ფაქტი; ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 70 შემთხვევა; მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 664 ფაქტი.

„უარყოფითი რიცხვების“ გადაღებები იწყება

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კინოინდუსტრიის წახალისების პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში, შემოდგომიდან ახალი ფილმის - „უარყოფითი რიცხვების“ გადაღებები დაიწყება.

ფილმის გადაღების დეტალებზე რეჟისორი უტა ბექაია, შემოქმედებითი ჯგუფი და ორგანიზატორები პრესკონფერენციაზე ისაუბრებენ.

ფილმს ქართულ-ფრანგულ-იტალიურ კოპროდუქციას ქართული საპროდიუსერო კომპანია, შპს „მაგნეტ ფილმს“ გადაიღებს. ფილმის სიუჟეტი ნამდვილ ამბავზეა აგებული და ასახავს საქართველოს ეროვნული რაგბის კავშირისა და UNICEFF-ის ერთობლივ პროექტს, რომლის ფარგლებშიც არასრულწლოვან ვაჟთა კოლონიაში პატიმრებისთვის ფიზიკური და მენტალური გაჯანსაღების მიზნით, რაგბის ვარჯიშები დაინიშნა.

„უარყოფითი რიცხვები“ გადაღებები სექტემბრის შუა რიცხვებში დაიწყება და ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდება, სადაც 40 ადგილობრივი ადამიანი დასაქმდება.

პროგრამა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს, გაეროს ბავშთა ფონდის მხადაჭერით ხორციელდება.

◎ ინტერნეტიდან

მარგარიტ მედის ბალახბულახი უყვარს

პოპულარული იტალიელი მოდელი მარგარიტ მედი, რომელიც ერთ დროს ვეტერანი იტალიელი ფეხბურთელისა და აწ უკვე მწვრთნელის — ჯენარო გატუზოს გულის სწორი იყო, ევროპის ვეგეტარიანული მოძრაობის აქტიური წევრი გახდა და ამ მიმდინარეობის თვალსაჩინო წარმომადგენელიცაა.

სანამ მშვენიერი მარგარიტი ხორცის მაგივრად ბალახბულახის ჭამის პროპაგანდას ეწევა, მანამდე მისმა კონტრაქტორმა ერთ-ერთმა ფირმამ, რომელიც ნიფხავ-პერანგს აწარმოებს, წერილი მისწერა, კონტრაქტის პირობების თანახმად, ჩვენს აქციებში მიიღე მონაწილეობა, თორემ კონტრაქტის პუნქტების უგულებელყოფის გამო სასამართლოში გიჩივლებთ და ეგ შენი ბალახ-ბულახი უკან დაგრჩებაო.

ახლა მარგარიტ მედი იძახის, ნიფხავ-პერანგების რეკლამა ჩემი მოწოდება არასოდეს ყოფილა და არავის აქვს უფლება ვეგეტარიანული ცხოვრების წესის პროპაგანდა ამიკრძალოსო, მაგრამ კონტრაქტს სად გაექცევა? ამ ოხერ-ტიალმა თანამედროვე ბიზნესმაც ხომ დანდობა არ იცის...

როსტომ რაჭველიშვილი

ყველაზე პატარები

მსოფლიოში ყველაზე პატარა ახალშობილები არიან სამი ტყუპი — ალფი, რომელიც დაბადებისას 419 გრამს იწონიდა, კონორი (430 გრამი) და დილანი (463 გრამი). ერთკვერცხა ტყუპები ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალბატონ ემა სიტონს ფეხმძიმობის 23-ე კვირას შეეძინა.

ახალშობილები გაჩენისთანავე ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც მათ 6 თვე გაატარეს. სამივე ბავშვს გულზე ოპერაცია ჩაუტარდა. ორი კვირის ალფის კი ამის გარდა ფილტვების ოპერაციის გაკეთებაც მოუწია. ყველა უბედურებასთან ერთად, ბიჭუნებს ასევე თვალის ბადურის ჩამოუყალიბებლობა სჭირდა.

ახლა ძმები 2 წელზე მეტი ასაკისანი არიან და, მართალია, თავიანთ თანატოლებზე პატარები არიან, ჯანმრთელობასთან დაკავშირებით რაიმე განსაკუთრებული პრობლემები არა აქვთ. როგორც გადარჩენილი ყველაზე პატარა ახალშობილი, სამი ტყუპი გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი.

როცა მდიდრები ღარიბებივით... ვერ იძინებენ

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სიღარიბე ადამიანს სიცოცხლეს 7-10 წლით უმოკლებს.

„სჯობს, ჯანმრთელი და მდიდარი იყო, ვიდრე სნეული და ღატაკი“ — ეს პოპულარული თქმა ბევრ განმარტებას არ საჭიროებს, მაგრამ, მკვლევარები იმასაც დასძენენ, რომ თუკი ჯანმრთელობა სნეულებას მართლაც ყოველთვის სჯობს, სიმდიდრესთან მიმართებაში ყველაფერი ასე ცალსახად არ არის. ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფიად მოქმედებს გასაჭირი, რომელიც მას გადარჩენისთვის ბრძოლას აიძულებს — ესაა უძილობა, უჭმელობა და ა.შ. — რის გამო სიცოცხლე უწყვეტ სტრესად აქვს ქცეული. მაგრამ, საქმე ისაა, რომ იგივე მდგომარეობაში ცხოვრობენ შეძლებული ადამიანებიც, რომლებსაც გამუდმებით უწევთ თავიანთ ბიზნესზე ზრუნვა, რის გამო ისინიც ხშირად ისეთივე „ნაგავ“ საკვებს მიირთმევენ, როგორსაც ღარიბი ადამიანები (ოღონდ ამაში გაცილებით ძვირს იხდიან), დაძინებას კი ვერც წამლებით, ვერც ფსიქოანალიტიკოსების დახმარებით ვერ ახერხებენ. ამიტომაცაა, რომ ცხოვრებით კმაყოფილი მდიდრებისა და ღარიბების შეფასებების შედარება საოცარ სურათს წარმოაჩენს: სიცოცხლის გახანგრძლივების ერთადერთი დადასტურებული მიზეზია ცხოვრებისგან კმაყოფილების მიღების უნარი.

ცხოვრებით კმაყოფილების დონეზე კი შემოსავლის დონე სულაც არ მოქმედებს...

„ღვინის“ რისკი

ყოველდღიურად ერთი ჭიქა თეთრი ღვინის მირთმევა მელანომის (კანის კიბოს) წარმოშობის საფრთხეს 13 პროცენტით ზრდის.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ სპირტიან სასმელს შეუძლია სიმსივნის წარმოშობის პროვოცირება. აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა ტიპის ალკოჰოლიანი სასმელი ონკოლოგიის სხვადასხვა სახის წარმოქმნას უწყობს ხელს. მათ შორის, ყველაზე მეტადაა გამოკვეთილი კავშირი თეთრი ღვინის ყოველდღიურ მოხმარებასა და მელანომის განვითარებას შორის.

ურთიერთკავშირი დაუდგენელია

ქალბატონებს, ვისაც გლანდები ამოჭრილი აქვთ, დაფეხმძიმების მეტი შანსი აქვთ.

ეს დასკვნა ბრიტანელმა მეცნიერებმა 500 ათასი ქალის სამედიცინო მონაცემის შესწავლის შედეგად გამოიტანეს.

აღმოჩნდა, რომ გლანდების ამოკვეთა ორსულობის ალბათობას 49 პროცენტით, აპენდიქსის ამოჭრა კი 34 პროცენტით ზრდის.

მეცნიერები ჯერჯერობით ვერ ახერხებენ ამ ორი ფაქტის ურთიერთკავშირის ახსნას, ამასთან ვარაუდს გამოთქვამენ, რომ ამ მიგნებამ, შესაძლოა, ბევრი ქალბატონისთვის უშვილობის პრობლემის გადაჭრას შეუწყოს ხელი.

„დამცველი“... ისპანახი

ბროკოლი, ისპანახი და კვერცხის გული თავის ტვინისთვის სასარგებლოა, დაადგინეს ილინოისის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერებმა.

ამ სურსათში დიდია ანტიოქსიდანტ ლუთეინის შემცველობა, რაც ზრდასრულ ადამიანებში მაღალი კრისტალიზაციის ინტელექტს ახასიათებს — ესენი ისეთი პირები არიან, ვისაც სხვებზე უკეთ უნარჩუნდებათ მრავალი წლის წინათ მიღებული ცოდნა და ჩვევები.

მეცნიერები ვარაუდობენ რომ, შესაძლოა, ლუთეინი აქვეითებს თავის ტვინში ანთების დონეს, ანდა აძლიერებს ნიშნების გადაცემას ნერვულ უჯრედებს შორის.

სხვათა შორის, უფრო ადრე ფლორიდის (აშშ) უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ლუთეინს ასაკობრივი მაკულარული დეგენერაციის საფრთხის აცილება შეუძლია — ესაა ხანდაზმულ ადამიანებში თვალისჩინის დაკარგვის ძირითადი მიზეზი. გარდა ამისა, ლუთეინი ხელს უწყობს კანის ახალგაზრდობის შენარჩუნებას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4062; ევრო - 2.6986;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0523;
100 რუბლი - 4.2188; თურქული ლირა - 0.6833;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4254;
1000 სომხური დრამი - 4.9880.

ამინდი 14 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+30
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+32
თბილისი:	ღამე	+17,	დღე	+30

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge